# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

პარასკევი, 10 ივნისი. 2022 წ. №72 (9410) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი


## ევროკავშირში – მხოლოდ ჩვენი ტრადიციებით!

ჩვენი ისტორიის შავი დღეები!..

## იდიოტიზმამდე მისული ქართველთა გულუბრყვილობა...



იხ. 6-7 გვ.



## გცემეს და კარგიც უქნიათ!

## უჯიშო, ურწმუნო, ქართულ-ევროპული ფასეულობებისგან დაცლილნი

იხ. 3 გვ.



## ირაკლი ღარიბაშვილი გაერთიანებულ სამეფოში

**საქართველომ და გაერთიანებულმა სამეფომ ისეთი სტრატეგიული პარტნიორობა განავითარეს, რომელიც მრავალსაუკუნოვანი მეგობრობისა და კავშირების შენების პროცესში იზრდებოდა,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დედოფალ ელისაბედ II-ის პლატინის (70-ე) იუბილეს აღსანიშნავ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.



**მთავრობის მეთაურმა საიუბილეო თარიღი მიულოცა გაერთიანებული სამეფოს დედოფალს, ბრიტანელ ხალხს, თანამეგობრობის წევრებს და მათ ჯანმრთელობა, მშვიდობა და კეთილდღეობა უსურვა.**

**ირაკლი ღარიბაშვილმა პარტნიორებს საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და იმედი გამოთქვა, რომ პარტნიორობა კიდევ უფრო გაღრმავდება დემოკრატიზაციისა და რეფორმების კვალდაკვალ. დედოფალ ელისაბედ II-ის პლატინის იუბილესადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებას, რომელიც გაერთიანებული სამეფოს საელჩოში გაიმართა, საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, სამოქალაქო სექტორის, დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.**

## ევროსალაყბოს სიცრუე მკითხველის სამსჯავროზე!

**საქართველოში მედიაგარემოსთან დაკავშირებით ევროპარლამენტმა რეზოლუცია მიიღო. შესაბამის დოკუმენტს 308 ევროპარლამენტარმა მისცა ხმა, წინააღმდეგ 218 იყო.**

რეზოლუციაში ევროპარლამენტი **„შეშფოთებას გამოთქვამს ბოლო წლებში მედიის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესებისა და ჟურნალისტების უსაფრთხოების გამო, გამოხატვის თავისუფლებისა და მედიის თავისუფლების უზრუნველსაყოფად ქვეყანაში მყარი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის მიუხედავად“.**

ამასთან, აღნიშნულია, რომ ევროპარლამენტი გმობს ჟურნალისტების დაშინების, მათ მიმართ მუქარების, ძალადობისა და დევნის მზარდ რაოდენობას, მათ შორის მედიის თანამშრომლებისა და მესაკუთრეების მიმართ სისხლის სამართლის გამოძიების მზარდ რაოდენობას. მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, გულდასმით გამოიძიოს ძალადობის ყველა შემთხვევა და პასუხისგებაში მისცეს პირები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ჟურნალისტებისა და მედიის სხვა თანამშრომლების წინააღმდეგ ძალადობასა და ძალადობისკენ წაქეზებაზე, რაც აღმოფხვრის ამგვარი დანაშაულებისთვის დაუსჯელობის შთაბეჭდილებას.

იხ. 2 გვ.

## საქართველოს პრეზიდენტი შარლ მიშელის მიწვევით კონფერენციაში „ქალები კონფლიქტებში“ იღებს მონაწილეობას

**საქართველოს პრეზიდენტი გუშინ ბრიუსელში, ევროპული საბჭოს პრეზიდენტის შარლ მიშელის მიწვევით კონფერენციაში — „ქალები კონფლიქტებში“ მონაწილეობის მისაღებად ჩავიდა.**



ბრიუსელში დაგეგმილ საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობენ ქალი ლიდერები და კონფლიქტში დაზარალებული ქალები, მათ შორის — უკრაინის პირველი ლედი ოლენა ზელენსკა, გაეროს ქალთა ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი სიმა სამი ბაჰუსი, ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი ნადია მურადი. ღონისძიებას გაეროს ქალთა ორგანიზაცია, Nadia’s Initiative Dr. Denis Mukwege lf Dr. Denis Mukwege -ის ფონდი მასპინძლობს. აქცენტები გაკეთდება კონფლიქტებში ქალი ლიდერების მნიშვნელობაზე, ქალებისა და გოგონების უფლებების რეალიზაციასა და მათი მშვიდობის პროცესებში სრულყოფილი მონაწილეობის აუცილებლობაზე.

მერაბ ბერძენიშვილის დღე

## მარად ⑤ ცოცხალი შემოქმედი






# ევროპარლამენტის რეზოლუცია საქართველოში მედიაგარემოსთან დაკავშირებით

**(პირველი გვერდიდან)** ევროპარლამენტი მოუწოდებს საქართველოს, შეზღუდოს სტრატეგიული სამართლებრივი სარჩელების გამოყენება ადამიანის უფლებების დამცველებისა და მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ, რაც ემსახურება მათი კრიტიკული და დამოუკიდებელი მუშაობის შეფერხებას.

ევროპარლამენტი მოუწოდებს საქართველოს, უზრუნველყოს მედიის თავისუფლება, რაც უნდა ითვალისწინებდეს სარედაქციო დამოუკიდებლობას, პოლიტიკური შეხედულებების გამჭვირვალე მედია მესაკუთრეობასა და პლურალისტულ, მიუკერძოებელ და არადისკრიმინაციულ გაშუქებას კერძო და განსაკუთრებით, საზოგადოებრივ მაუწყებლებში, განსაკუთრებით საარჩევნო კამპანიების დროს. ასევე მოუწოდებს საქართველოს უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციაზე დაუბრკოლებრივი წვდომა, ჟურნალისტებისა და სხვა მედია პროფესიონალების უსაფრთხოება, დაცვა და უფლებამოსილება.

რეზოლუციის თანახმად, ევროპარლამენტის წევრები გმობენ მთავარი ოპოზიციური ტელეკომპანია „მთავარი არხის“ დირექტორის, ნიკა გვარამიასთვის გამოტანილ განაჩენს, რამაც გამოავლინა საქართველოს სასამართლო სისტემის მიმართ არსებული უნდობლობა.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ „ნიკა გვარამიასთვის გამოტანილი სასამართლო განაჩენი საქართველოში ფართოდ აღიქმება, როგორც ამჟამინდელი მთავრობის მხრიდან კრიტიკული ხმის გაჩუმების მცდელობა“. ტექსტის თანახმად, ეს საქმე უკვე 2019 წლიდან უარყოფითად იყო შეფასებული საქართველოს სახალხო დამცველის მხრიდან.

**„ევროპარლამენტი მიესალმება ორგანიზაციის „რეპორტიორები საზღვრების გარეშე“ მოწოდებას ნიკა გვარამიას საბრალდებო განაჩენის გადახედვასთან დაკავშირებით; ხაზს უსვამს სასწრაფო აუცილებლობას, რომ მთავრობამ ნამდვილად წინ წაწიოს სასამართლო რეფორმა ფართო და ინკლუზიური პარტიათაშორისი პროცესის საშუალებით სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გაძლიერების მიზნით, იმ ევროკავშირის ასოცირებული პარტნიორის ვალდებულებების შესაბამისად.**

**ევროპარლამენტი მოუწოდებს საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს, თავი შეიკავონ აგრესიული რიტორიკის გამოყენებისგან და დისკრიმინაციული მოპყრობისგან მედიის წარმომადგენლების მიმართ და თავიანთ საჯარო განცხადებებში ადვოკატირება გაუწიონ ტოლერანტულ მიდგომას ადამიანის უფლებების პატივისცემით“,** — აღნიშნულია რეზოლუციაში.

როგორც რეზოლუციაშია ნათქვამი, მოუწოდებენ საქართველოს მთავრობის ყველა წარმომადგენელს, თავი აარიდონ აგრესიული რიტორიკის გამოყენებას, მედიის წარმომადგენლების მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას და საკუთარ განცხადებებში მხარი დაუჭიროს ტოლერანტულ მიდგომას, რომელიც პატივს სცემს ადამიანის უფლებებს.

**„მტკიცედ დაგმოს 2021 წლის 5 ივლისს თბილისის პრაიდი მარშზე ჟურნალისტებისა და მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალადობაზე პასუხისმგებელ პირთა მიმართ სამართლებრივი დევნისა ან დეტალური გამოძიების მუდმივი დანაკლისი. ასევე დაჟინებით აცხადებს, რომ ასეთი ქმედებების ჩამდენ პირთა დაუსჯელობა არავითარ შემთხვევაში არ არის დაშვებული, რადგან ეს არღვევს როგორც საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობას, ისე საერთაშორისო და ევროპულ ვალდებულებებს, და მოუწოდებს 5 ივლისის ინციდენტების ეფექტურად გამოძიებისკენ. გმობს ლჯბტქი+ პირთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის გაგრძელებას. მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას სრულად პრაქტიკულად აამოქმედოს ადამიანის უფლებათა და ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა“,** — აღნიშნულია რეზოლუციაში.

ევროპარლამენტი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, ჩაატაროს ფარული ჩანაწერების სკანდალის ეფექტური გამოძიება და აამოქმედოს შესაბამისი მექანიზმების სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ თვალთვალის და მონაცემთა შეგროვების ზედამხედველობისთვის.

ამასთან, რეზოლუცია ხაზს უსვამს ჟურნალისტებისთვის, მედიასაშუალებების თანამშრომლებისთვის და მედიაორგანიზაციებისთვის უსაფრთხო, ხელსაყრელი სამუშაო გარემოს გარანტიების საჭიროებას. როგორც საკანონმდებლო ფორმით, ისე პრაქტიკაშიც, მათ შორის იმ ჟურნალისტებისთვის, ვინც რუსეთიდან, ბელარუსიდან და სხვა ავტორიტარული რეჟიმებისგან თავშესაფარს ეძებს. ამიტომ აქეზებს საქართველოს გამოიყენოს საერთაშორისო თანამშრომლობა მედიაგარემოსა და შესაბამისი კანონმდებლობის გასაუმჯობესებლად, რაც შესაბამისობაში იქნება მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკასთან.

რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ევროპარლამენტი აქებს ნინო ლომჯარიას, სახალხო დამცველს მისი ქმედებებისთვის, რომლებიც მიმართული იყო მედიის თავისუფლების დაცვისკენ, მიუხედავად მთავრობის რეგულარული თავდასხმებისა.

ამასთან, რეზოლუციის თანახმად, ევროპარლამენტი აცნობიერებს, რომ საქართველოში არის მრავალფეროვანი და პლურალისტული მედიალანდშაფტი, მაგრამ მწუხარებას გამოთქვამს განსაკუთრებით მწვავე ურთიერთობების გამო მმართველ პარტიასა და კრიტიკულ მედიასაშუალებებს შორის, ისევე როგორც ოპოზიციურ პარტიებსა და პროსამთავრობო მედიას შორის. ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მედიალანდშაფტის პოლარიზაციის გამო, რაც ასახავს პოლიტიკური ლანდშაფტის მზარდ და დამაზიანებელ პოლარიზაციას.

ევროპარლამენტის რეზოლუციის ტექსტში ნათქვამია, რომ მოუწოდებენ საქართველოს ხელისუფლებას, ჰუმანიტარულ საფუძველზე გაათავისუფლოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ციხიდან, რათა მას საზღვარგარეთ სათანადო მკურნალობის გავლის შესაძლებლობა ჰქონდეს.

რეზოლუციის ტექსტში ნათქვამია, რომ მოუწოდებენ საქართველოს მთავრობას განავითაროს მედიაწიგნიერების განათლების პროგრამები თავისი მოქალაქეებისთვის, მხარი დაუჭიროს სამოქალაქო საზოგადოებას ფაქტების შემოწმების მექანიზმების შექმნაში.

**„ევროპარლამენტი იმეორებს თავის მოწოდებას საქართველოს ხელისუფლების მიმართ, თავი შეიკავოს მედიის თავისუფლებაში ჩარევისგან ან მედიის მფლობელების ან წარმომადგენლების წინააღმდეგ პოლიტიკურად მოტივირებული სასამართლო საქმეების განხორციელებისგან. მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას ჰუმანიტარულ საფუძველზე გაათავისუფლოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ციხიდან, რათა მას საზღვარგარეთ სათანადო მკურნალობის გავლის შესაძლებლობა ჰქონდეს. გამოხატავს შეშფოთებას საქართველოში რუსული დეზინფორმაციისა და ინფორმაციული მანიპულაციის მუდმივი ზრდის გამო, უკრაინაში რუსეთის შემოჭრის კონტექსტში და მოუწოდებს საქართველოს მთავრობას განავითაროს მედიაწიგნიერების განათლების პროგრამები თავისი მოქალაქეებისთვის, მხარი დაუჭიროს სამოქალაქო საზოგადოებას ფაქტების შემოწმების მექანიზმების შექმნაში და მიიღოს აქტიური ნაბიჯები, რათა თავიდან აიცილოს დეზინფორმაციული კამპანიები უცხოური ან ადგილობრივი აქტორების მხრიდან ქვეყნის, დაუცველი ჯგუფების ან პირების წინააღმდეგ, როგორიცაა ეთნიკური უმცირესობების თემებში ან კონფლიქტით დაზარალებულ რაიონებში მცხოვრები ადამიანები და პოლიტიკური პარტიები“,** — ნათქვამია რეზოლუციაში. ამასთან, „ევროპარლამენტი მოუწოდებს საქართველოს, მაქსიმალურად გამოიყენოს ყველა ინსტრუმენტი და ინიციატივა, რომელიც მიმართულია აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში მდგრადობის გაძლიერებისკენ“.

**„ევროპარლამენტი მოუწოდებს ყველა ქართველ პოლიტიკურ მოთამაშეს, რომ თავი შეიკავონ რუსული დეზინფორმაციული მცდელობების გამოყენებისაგან მათი პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ, რადგან ეს მხოლოდ ხელს უწყობს დეზინფორმაციის შემდგომ გავრცელებას და საფრთხეს უქმნის სოციალურ ერთიანობას და დემოკრატიას. მოუწოდებს საქართველოს, მაქსიმალურად გამოიყენოს ყველა ინსტრუმენტი და ინიციატივა, რომელიც მიმართულია აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში მდგრადობის გაძლიერებისკენ და მოუწოდებს კომისიას და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, უზრუნველყონ დამოუკიდებელი მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების პოლიტიკური, ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერა საქართველოში“,** — ნათქვამია რეზოლუციაში.

რეზოლუციაში ასევე ნათქვამია, რომ ევროპარლამენტი მიესალმება საქართველოს მონაწილეობას 2021-2027 წლების შემოქმედებითი ევროპის პროგრამაში.

ევროპარლამენტის ტექსტში ნათქვამია, რომ „მოუწოდებენ საქართველოს ხელისუფლებას, მტკიცედ დაიცვან დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, სასამართლოს დამოუკიდებლობის, სამართლიანი სასამართლოს და ფუნდამენტური თავისუფლებების უმაღლესი სტანდარტები, მათ შორის მედიის თავისუფლების სფეროში“.

**„ევროპარლამენტი მიესალმება საქართველოს მონაწილეობას 2021-2027 წლების შემოქმედებითი ევროპის პროგრამაში; მოუწოდებს კომისიას და წევრ სახელმწიფოებს მხარი დაუჭირონ ქმედებებს, რომლებიც აკონტროლებენ და აფასებენ მედიის პლურალიზმისა და თავისუფლების რისკებს, იცავენ საფრთხის ქვეშ მყოფ ჟურნალისტებს და ხელს უწყობენ საინფორმაციო მედიის სექტორის ტრანსფორმაციას და კონკურენტუნარიანობას საქართველოში. მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, მტკიცედ დაიცვან დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, სასამართლოს დამოუკიდებლობის, სამართლიანი სასამართლოს და ფუნდამენტური თავისუფლებების უმაღლესი სტანდარტები, მათ შორის მედიის თავისუფლების სფეროში, და ამით ცალსახად აჩვენოს თავიანთი პოლიტიკური გადაწყვეტილება, განახორციელოს საქართველოს მოსახლეობის ამბიციური ევროპული მისწრაფებები, როგორც მოწმობს ქვეყნის 2022 წლის 3 მარტის ევროკავშირში წევრობის განაცხადი. გამოთქვამს რწმენას, რომ საქართველოს ხალხის ლეგიტიმური მისწრაფებები იმსახურებს განხორციელებას და ამიტომ მოუწოდებს ევროკავშირის ინსტიტუტებს, იმუშაონ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე საქართველოსთვის, ევროკავშირის ხელშეკრულების 49-ე მუხლის შესაბამისად, დამსახურების საფუძველზე და იმ პირობით, რომ საქართველოს ხელისუფლება შეასრულებს ყველა კრიტერიუმს“,** — ნათქვამია რეზოლუციაში.

ევროპარლამენტი ავალებს თავის პრეზიდენტს გაუგზავნოს ეს რეზოლუცია კომისიის ვიცე-პრეზიდენტსჰევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლეს წარმომადგენელს, საბჭოს, კომისიას, წევრი სახელმწიფოების მთავრობებსა და პარლამენტებს, ევროპის საბჭოს, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას და საქართველოს პრეზიდენტს, მთავრობას და პარლამენტს.

ევროპარლამენტის რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ „სასამართლო საქმეები იყო აღძრული სხვა მსხვილი კრიტიკული მედიასაშუალებების მესაკუთრეების ან მათი ოჯახის წევრების წინააღმდეგ, კერძოდ, ტელეკომპანია „ფორმულას“ დამფუძნებელ დავით კეზერაშვილისა და დამოუკიდებელი ტელეკომპანია „პირველის“ დამფუძნებლის, ვახტან წერეთლის წინააღმდეგ.

ამასთან, რეზოლუციაში წერია, რომ 2022 წლის იანვარში თბილისის საქალაქო სასამართლომ „თიბისი ბანკის“ და პოლიტიკური პარტიის „ლელო საქართველოსთვის“ დამფუძნებლები მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე, ასევე ავთანდილ წერეთელი, ვახტანგ წერეთლის მამა, დამნაშავედ ცნო თაღლითობაში და შვიდი წლით პატიმრობა მიუსაჯა, თუმცა მათი განაჩენი შემსუბუქდა, ვინაიდან თაღლითობისთვის ხანდაზმულობის ვადა გასული იყო.

რეზოლუციაში ნათქვამია, რომ „2021 წლის 5 ივლისს 50-ზე მეტ ჟურნალისტს, მედიის წარმომადგენელსა და მშვიდობიან დემონსტრანტს ძალადობრივად დაესხნენ თავს ძირითადად ულტრამემარჯვენე აქტივისტები „თბილისის პრაიდის“ მსვლელობის გაშუქების დროს, რომელიც საბოლოოდ იძულებით გაუქმდა. ასევე, დოკუმენტში საუბარია ტელეკომპანია „პირველის“ ოპერატორ ლექსო ლაშქარავაზე. რეზოლუციის თანახმად, „ალექსანდრე ლაშქარავა თავდასხმიდან მალევე გარდაიცვალა მიღებული დაზიანებების გამო“. ევროპარლამენტარებმა ასევე რეზოლუციაში დაამტკიცეს შესწორება, რომელშიც ევროპულ საბჭოს და დემოკრატიულ პარტნიორებს მოუწოდებს, ბიძინა ივანიშვილისთვის პერსონალური სანქციების განხილვისკენ.

**შესწორებაში ვკითხულობთ: „ევროპარლამენტი გამოხატავს შეშფოთებას დესტრუქციული როლის გამო, რომელსაც საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ქვეყნის ერთადერთი ოლიგარქი ბიძინა ივანიშვილი ასრულებს და კონტროლის დონეზე, რომელსაც ის ახორციელებს მთავრობასა და მის გადაწყვეტილებებზე, მათ შორის ჟურნალისტებისა და პოლიტიკური ოპონენტების პოლიტიკურად მოტივირებულ დევნაზე; ევროპარლამენტი ღრმად არის შეშფოთებული ივანიშვილის კრემლთან გამოვლენილი პირადი და საქმიანი კავშირებით, რაც განსაზღვრავს საქართველოს ამჟამინდელი მთავრობის პოზიციას რუსეთისთვის დაწესებული სანქციების მიმართ; ევროპარლამენტი მოუწოდებს საბჭოს და დემოკრატიულ პარტნიორებს, განიხილონ ივანიშვილისთვის პერსონალური სანქციების დაწესება საქართველოში პოლიტიკური პროცესის გაუარესებაში მისი როლის გამო“.**

## ევროპარლამენტი „ფეიკის“ მსხვერპლია!



**„კამპანიამ, რომელიც კრიმინალების დასაცავად და ამ კრიმინალების ხელისუფლებაში დასაბრუნებლად 2012 წლიდან წარმოებს, ევროკავშირის ერთ-ერთ უმაღლეს ინსტიტუტამდე, ევროპარლამენტამდე მიაღწია“,** — ასე გამოეხმაურა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე ევროპარლამენტის მიერ მიღებულ რეზოლუციას.

მისივე თქმით, ევროპარლამენტი ე.წ. „ფეიკის“ მსხვერპლია.

**„უაღრესად შემაშფოთებელია, როდესაც თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი უმთავრესი სცენის — ე.წ. „ფეიკის“ მსხვერპლი ევროკავშირის ასეთი მაღალი რანგის ინსტიტუტიც კი ხდება. პირველ რიგში, შევეხებით, არაერთ, შედარებით, მეორეხარისხოვან ფაქტობრივ უზუსტობასა და ტყუილს, რომელიც კამპანიის მონაწილეებმა ევროპარლამენტის რეზოლუციაში შეაპარეს. მაგალითისთვის, რეზოლუციაში ვკითხულობთ, რომ ხელისუფლება დღემდე უარს ამბობს მიხეილ სააკაშვილის კერძო კლინიკაში გადაყვანაზე, როდესაც სააკაშვილი დღესაც, სწორედ კერძო კლინიკაშია. ასევე, რეზოლუციაში ვკითხულობთ, რომ ლექსო ლაშქარავა 5 ივლისს მიყენებული დაზიანებების შედეგად გარდაიცვალა, როდესაც გარდაცვალების რეალური მიზეზი საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი“...**

# უჯიშო, ურწმუნო, ქართულ-ევროპული ფასეულობებისგან დაცლილნი



## 451 გრადუსი ფარენჰაიტით

**Зона – это не территория, это та проверка, в результате которой человек либо выстоять, либо сломаться. Выстоит ли человек, зависит от чувства его моралного достоинства, его способности различать главное и преходящее (Андреи Тарковски)**

ამოუტენეთ ადამიანს გონება ცნობებით, ფიტულივით ამოტენეთ ამ წყეული ფაქტებით და ეგონებათ, რომ ბრწყინვალე განათლება მიიღეს. ეგონებათ, რომ აზროვნებენ და წინ მიდიან. სინამდვილეში ადგილზე იქნებიან გაყინული, თუმცა თვითონ ბედნიერად იგრძნობენ თავს (რეი ბრედბერი – „451 გრადუსი ფარენჰაიტით").

არისტოტელეს მოსაზრება, რომ დემოკრატია ითვალისწინებს მხოლოდ ღარიბების და არა მთელი საზოგადოების ინტერესებს, 21-ე საუკუნის საქართველოში „დაიხვეწა" და არა მატერიალურად ვერ შემძლეთა ინტერესების „კრატია" (მმართველობა) დაამყარა, არამედ საზოგადოება გონებრივად მდაბიოთა სრული დიქტატურის საშიშროების წინაშე დააყენა.

აგრესიული ლიბერალიზმი, რომლის დამკვიდრებასაც ტყავის „ტუჟურკების" ნაცვლად ბრიუსელში შოპინგის დროს შეძენილ უგემოვნო სამოსში გამოწყობილი და შემართული ნაგანის ნაცვლად რაღაც რეზოლუციებითა და რეკომენდაციებით შეიარაღებული ჩეკისტ-ლიბერასტები ახდენენ, საზოგადოების ტერორის ყველაზე საშინელი ფორმაა.

საზოგადოების ტერორისთვის კი მიმართეს ყველაზე მომგებიან ფორმას – ჯერ ხელოვნურად შექმნეს ე.წ. ჟუურნნალისტთა კოჰორტა, რომლებმაც თავის მხრივ შექმნეს ინტელექტუალური ტიპები და „უნიტაზის ხელოვანები".

ტელევიზიების საშუალებით გაზარდეს ხალხში ცნობადობა და ფაქტობრივად შექმნეს ის ზონა, რომელშიც არამც თუ გაბატონდა მათი აზრებისა და შეფასებების უტყუარი ჭეშმარიტება, არამედ საწინააღმდეგო შეხედულებები ფაქტობრივად გააქრეს.

ბხოლოდ ბეჭდურ მედიაში და ორიოდ ტელევიზიაში ისმოდა ჯანსაღი კრიტიკა, მაგრამ ლიბერასტებმა ესეც მაქსიმალურად შეავიწროვეს, რითაც საზოგადოება ინფორმაციულ ვაკუუმში მოექცა.

იმ მეთოდებზე, თუ როგორ ხდებოდა უჯიშო, ურწმუნო, ფასეულობებისგან დაცლილი ხალხის გარეკლამება (პიარი არა, სწორედაც რეკლამა) სხვა დროს უფრო ვრცლად დავწერ.

საკმაოდ ზუსტი გათვლა გაკეთდა ქართველების „სუსტ წერტილებზე", რომლებზე ზემოქმედებაც პერმანენტულად ხდებოდა და ხდება.

უმთავრესი გამალიზიანებელი ფაქტორი ის შინაგანი ცნობიერებაა, რომელსაც მუდმივი ფასეულობები განსაზღვრავს და ეს ფასეულობები მხოლოდ ქართული, ანუ როგორც ისინი ამბობენ, „გრუზინული" თვისება არ არის.

ქათრინ დენევი, რომელმაც სიტყვებით „მე იმიტომ ვცდილობ, ლამაზად გამოვიყურებოდე, რომ მამაკაცს თავი მოვაწონო" აშკარად დასცინა ლიბერასტული ფემინიზმის მოწოდებას, ქალები გადაექციათ წითელთავსაფრიანი ბოლშევიკი გოგონების მსგავს უსახო მასად, „გრუზინი" ნამდვილად არ არის და არც ალენ დელონია „გრუზინი", რომელიც ქალს და მამაკაცს ზუსტად ისე აღიქვამს, როგორც ნებისმიერი ჯანსაღი ადამიანი.

წმინდანების, ეკლესიის, ნამდვილი ლიტერატურის, კულტურის, მეცნიერების შეურაცხყოფა საზოგადოების მხრიდან ძალიან უარყოფითი ემოციით აღიქმება. სწორედ ეს არის ის გათვლა, რომლითაც მოქმედებენ თანამედროვე „მატროსოვები". ისინი მზად არიან, საკუთარ თავზე მიიღონ დარტყმა, რათა შემდეგ მომხდარი ფაქტი განაზოგადონ და პირდაპირ სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოიყენონ (გვარებს არ ჩამოვთვლი).

მათ საზოგადოების ემოციების მართვა ძალიან კარგად შეუძლიათ. ამ თემაზე ძალიან მოკლედ და ზუსტად დაწერა დავით ქართველიშვილმა: გამოცდილი აკერმანი ლუციფერთან გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე, თავის პირობითად ქართველ მადლიერ მსმენელს: დასცხეთ, დედები აგინეთ, ერეკლეს, დავითს, თამარს გადაუარეთ! მოგვხვდებათ? მსხვერპლი იქნება? აბა რა გინდოდათ – ერთ თქვენს ნაკაწრს სისლისღვრად გავასაღებთ. თქვენზე „მოძალადე", თქვენსმიერვე დედანაგინებ პატრიოტებს – ციხეში გავუშვებთ! არეულობა! ქაოსი! ლინჩის წესი! – ეს უნდა დავუპირისპიროთ „ოცნების" მშვიდობას, სტაბილურობას და განვითარებას!!!

თუნდაც ის ისეთი თემა, როგორიც არის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღება (ამ საკითხს ფაქტობრივად პოლიტიკურ-მორალური დატვირთვის მეტი არანაირი ფონქცია არ გააჩნია) რომელსაც საქართველო უნდა გაეერთიანებინა, ისევ დაპირისპირების საფუძვლად იქცა.

საქართველოს ვითომდა მეგობრების, რომლებიც რეალურად ნაცების მეგობრები არიან და არა საქართველოსი, მისამართით გამოთქმული ნებისმიერი ჯანსაღი კრიტიკის წინააღმდეგ გაჩნდა საკმაოდ უცნაური შეკითხვა – აბა რუსეთი გინდა?, რომელზე პასუხები რატომღაც და სამწუხაროდ, თავის მართლების რეჟიმში ისმის.

და საერთოდ, ამ ყოვლად დამამცირებელ „თავის მართლების რეჟიმში" ბოლო რამდენიმე წელიწადია, ვცხოვრობთ და პირდაპირ ვიტყვი, რომ გარკვეულწილად ხელისუფლების „დამსახურებაცაა".

გასაგებია ის პრინციპები, რომელთა გათვალისწინებამ „ოცნებას" 2012 წლიდან მოუწია, მაგრამ დღეს, როცა მმართველი ძალის ლიდერებისგან უკვე ღიად ისმის ის ზუსტი შეფასებები, რასაც საქართველოს მტრების წინააღმდეგ ქართველი საზოგადოება ელოდა, ცოტა უცნაურია ის უმოქმედობა, რასაც ვხედავთ.

ქართველი საზოგადოებისთვის სრულიად მისაღებია ირაკლი კობახიძის, ირაკლი ღარიბაშვილის, თეა წულუკიანის პოზიციები და თავად წულუკიანის მიერ გადადგმული ნაბიჯები, რამაც მის წინააღმდეგ ლიბერასტული ტალღა ააგორა, მაგრამ არ ხდება მთავარი ნაბიჯების გადადგმა – არ ხდება ცილისწამებისა და სამშობლოს ღალატის წინააღმდეგ შესაბამისი კანონების მიღება. არ ხდება სახელმწიფოსგან დაფინანსებულ საზოგადოებრივ მაუწყებელში ისეთი სივრცის შექმნა, სადაც იქნება ჯანსაღი დებატები კულტურაზე, ხელოვნებაზე, განათლებაზე. ჯანსაღი დებატები, და არა რაღაც უცხოური სიტყვების რახარუხი პოლიტიკოსთა, თუ ხელოვნურად გაცნობადებულთა მხრიდან. არ ხდება ბეჭდური მედიის გავრცელებისთვის ხელშეწყობა, რაც მედიაგარემოს რეალური გაუმჯობესებაა და არა იმით თავის მოწონება, რომ სატელევიზიო სივრცეს ფაქტობრივად ე.წ. ცრუ, ყალბი, „კრიტიკული" მედია აკონტროლებს.

აკონტროლებს და ევროპასაც მიაწვდინეს ხმა ნიკა გვარამიას, როგორც მედიის წარმომადგენლის დაკავებაზე, ნაცლობისტებს რეზოლუციებიც მიაღებინეს.

პირდაპირ ვიტყვი, რომ ნიკა გვარამია არანაირი მედიამუშაკი არ არის. არ არის ზუსტად ისე, როგორც არ არის რომელიმე მედიასაშუალების ბუღალტერი, ან გამნათებელი.

ის ნაცების მიერ პარტიული პროპაგანდის განყოფილებაში დანიშნული შეფია, რომლის მთელი საქმიანობა არის ძალადობა მოსახლეობის გონებაზე, სიყალბეების შექმნა, კონკრეტული დამნაშავის და მისი დამქაშების დაცვა.

მედიაში საქმიანობას ტელევიზორში გამოჩენა არ განსაზღვრავს. ის იმ პროდუქტით განისაზღვრება, რასაც ქმნი.

გვარამია კი ქმნიდა ძალადობას (ქალბატონის ცემიდან დაწყებული, საფინანსო დანაშაულით დამთავრებული).

ზუსტად ანალოგიური ვითარებაა ჟურნალისტებზე ძალადობასთან მიმართებაში.

სწორედ ამ ე.წ. ჟურნალისტების საქმიანობამ არა თავისუფალ მედიაში (როგორც ზოგიერთები ამბობენ), არამედ მოძალადე პოლიტიკური ძალის მხარდამჭერად აფილირებამ, ყოველგვარი ეთიკური, თუ მორალური ნორმების უარყოფამ, ტყუილების და ცილისწამების გავრცელებამ საზოგადოებაში მთელი ჟურნალისტური კორპუსის მიმართ უარყოფითი განწყობა შექმნა.

ეს თემა, რაზეც ახლა ვწერ, ძალიან სენსიტიურია და ყველამ, ვინც ამა თუ იმ დასკვნას აკეთებს, ვინც სხვადასხვა ტრიბუნიდან ვერდიქტი გამოაქვს, არ უნდა ისარგებლოს ცალმხრივად და ზედაპირულად მიღებული ინფორმაციით.

არ უნდა გახდეს მოძალადე მედიაში მოძალადე პოლიტიკური ძალის მხრიდან ატეხილი ყალბი აჟიოტაჟის მსხვერპლი.

მოკლედ რომ ვთქვა, დღეს საქართველოსთვის უმთავრესი გამოწვევა არც კანდიდატის ეფემერული სტატუსია, არც ბოკერიას, „ფუჩუს", თუ სერტიფიკატიანი ტიპების ევროპა, რომელიც კორუმპირებული, მოძალადე, ჩინგიზ ხანის პრინციპებით მცხოვრები რუსეთივით არ მინდა და არც ეკონომიკური პრობლემებია (გაძვირებული საწვავის პირობებში ნახეთ თბილისური საცობები), არამედ ნამდვილი ფასეულობების წინააღმდეგ ბრძოლა, რომლის მთავარი მიზანი ქვეყნის როგორც მენტალური, ისე ფიზიკური განადგურების წინააღმდეგ მიმართული ქმედებებია.



**გია გაბრიჭიძე**

---

## ზაალ უდუმაშვილი ისევ ჟურნალისტიკაში გადაბარგდა!



**ზაალ უდუმაშვილს სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყდა. გადაწყვეტილება პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე მიიღეს.**

ზაალ უდუმაშვილისთვის სადეპუტატო უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას მხარი დაუჭირა 81-მა დეპუტატმა, წინააღმდეგ არც ერთი დეპუტატი არ წასულა.

ზაალ უდუმაშვილმა „ნაციონალური მოძრაობის" დატოვების შესახებ 29 მაისს განაცხადა. როგორც უდუმაშვილმა აღნიშნა, ის მედიაში ბრუნდება. მოგვიანებით, ზაალ უდუმაშვილმა განაცხადა, რომ „ნაციონალური მოძრაობის" დატოვების შემდეგ მეათე მოწვევის პარლამენტსაც ტოვებს.

„ნაციონალური მოძრაობა" ზაალ უდუმაშვილს პარლამენტში ვერ ჩაანაცვლებს, რადგან პარტიას საარჩევნო სია ჩახსნილი აქვს. პარტიას პარლამენტში 29 დეპუტატი ეყოლება.

* * *

**პარლამენტის ყოფილი წევრი ზაალ უდუმაშვილი ტელეკომპანია „პირველის" მთავარი საინფორმაციო გამოშვების წამყვანი იქნება,** – იტყობინება „რადიო თავისუფლება".

## მიხეილ სააკაშვილის ლობისტი კრისტინა პუშო გამოიჭირეს!



**ვაშინგტონ პოსტი მიხეილ სააკაშვილის ლობისტის კრისტინა პუშოს შესახებ ვრცელ სტატიას აქვეყნებს, რომელიც მის არაკანონიერ ლობისტურ საქმიანობას უკავშირდება.**

კრისტინა პუშო, რომელიც ამჟამად ფლორიდის გუბერნატორის რონ დესანტისის პრესსპიკერია, ლობისტურ საქმიანობას იუსტიციის დეპარტამენტის რეგისტრაციის გარეშე ახორციელებდა.

## თამარ ჩერგოლეიშვილი: კრისტინა პუშო ხელით იმართებოდა პირადად სააკაშვილისგან



**„ეს რომ დარბოდა კედელ-კედელ და მაგინებდა – ფულს იღებდა ჩემს გინებაში როდისმე ყველა ცილისმწამებელი ტროლი აღიარებს, რომ დემოკრატი პოლიტიკოსების და აქტივისტების გაშავება, მოღალატედ შერაცხვა და დემოკრატიული ფრონტის მორღვევა, ხელით იმართებოდა პირადად სააკაშვილისგან."** – წერს ჩერგოლეიშვილი facebook-ზე.

# დერეფანი – თურქეთის თაოსნობის პერსპექტივა და საქართველო



**თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მევლუთ ჩავუშოღლუ აცხადებს, რომ სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის კავშირების განვითარებაში წვლილის შეტანა თურქეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტია.**

ამ კონტექსტში მან სტრატეგიული მნიშვნელობის მიმართულებად „ტრანსკასპიური აღმოსავლეთ-დასავლეთ შუა დერეფანი“ მოიხსენია, რომლის შესახებაც დეკლარაციას ოთხ ქვეყანას შორის (საქართველო, აზერბაიჯანი, თურქეთი, ყაზახეთი) მარტის ბოლოს მოეწერა ხელი, თუმცა ჩავუშოღლუმ კიდევ ორ ქვეყანაზე (თურქმენეთი და უზბეკეთი) გაამახვილა ყურადღება:

**„ვაჭრობისა და ინვესტიციების გაფართოებისთვის საჭიროა, გავამყაროთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის კავშირები მიმდებარე რეგიონებთან. ამ კონტექსტში სტრატეგიული მნიშვნელობისაა ჩვენი ინიციატივა „ტრანსკასპიური აღმოსავლეთ-დასავლეთ შუა დერეფნის“ შესახებ. ჩვენ გავაგრძელებთ ამ საკითხების განხილვას აზერბაიჯანთან, საქართველოსთან, ყაზახეთთან, თურქმენეთთან და უზბეკეთთან“.**

საქართველოს, აზერბაიჯანს, თურქეთსა და ყაზახეთს შორის „ტრანსკასპიური აღმოსავლეთ-დასავლეთ შუა დერეფნის“ შესახებ ოთხმხრივ დეკლარაციაზე ხელმოწერის შესახებ 31 მარტს გახდა ცნობილი. როგორც ეკონომიკის სამინისტრო იუწყებოდა, დეკლარაციაში ხაზი გაესვა ტრანსკასპიური აღმოსავლეთ-დასავლეთ შუა დერეფნის მნიშვნელობასა და დეკლარაციის მხარე სახელმწიფოების სატრანზიტო პოტენციალის გაძლიერებისკენ გადადგმულ ნაბიჯებს. დეკლარაციაში ხაზგასმულია სატრანსპორტო დერეფნების განვითარებისა და სატრანზიტო პოტენციალის გაზრდის, საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემაში „ტრანსკასპიური აღმოსავლეთ-დასავლეთ შუა დერეფნის“ ინტეგრაციისთვის მხარეთა შორის თანამშრომლობის გაძლიერების მნიშვნელოვანი როლი.

დოკუმენტში ასევე აღინიშნა, რომ ევროპასა და აზიას შორის კონკურენტუნარიანი ტრანსპორტის ხელშეწყობისათვის ბაქო-თბილისი-ყარსის (BTK) სარკინიგზო ხაზის მნიშვნელოვანი როლი და ყურადღება გამახვილდა აღნიშნული სარკინიგზო ხაზის გამტარუნარიანობის გაუმჯობესებისათვის სამშენებლო სამუშაოების დასრულების მნიშვნელობაზე, რაც სარკინიგზო ხაზის გაძლიერებას ემსახურება.

დეკლარაციაში ხაზგასმულია აღნიშნული მარშრუტით სატრანსპორტო ოპერაციების ხარისხის ზრდისათვის ინფრასტრუქტურული ინვესტიციების მნიშვნელოვანი საჭიროება.

**„ყაზახეთის მხარესთან მიმდინარეობს აქტიური მოლაპარაკება საქართველოს სატრანსპორტო კორიდორში ნავთობის და ნავთობპროდუქტების დამატებითი მოცულობების გადაზიდვის შესახებ. კერძოდ, 2022-2023 წლებში დაგეგმილია ყაზახური წარმოშობის დაახლოებით 2 მლნ ტონა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ბათუმის ნავთობტერმინალის გავლით ტრანსპორტირება,** – განაცხადა ეკონომიკის მინისტრის მოადგილე **გურამ გურამიშვილმა** თემის კომენტირებისას და დასძინა, რომ საქართველოს რკინიგზა ასევე აქტიურად მუშაობს შუა კორიდორში მშრალი ტვირთების მოზიდვის მიმართულებითაც.

HUB Georgia-ს ექსპერტი **პაატა ცაგარეიშვილი „აქცენტთან“** ამბობს, რომ ორგანიზაციამ გამოავლინა 10 სატრანსპორტო ნაკადი, რომელიც სავარაუდოდ, გაივლის საქართველოს დერეფანზე. ეს ის ნაკადებია, რომლებიც გარკვეული პერიოდის წინ ჩვენს დერეფანზე გადიოდნენ, შემდეგ გაჩერდნენ, სხვა მიმართულებებზე გადაერთნენ და ახლა არის მცდელობა და შესაძლებლობა, ეს ნაკადები უკან დაბრუნდნენ. საუბარია დაახლოებით 10-12 მილიონ ტონა ტვირთზე, რომლის გატარებასაც ინფრასტრუქტურასთან ერთად ორგანიზაციული მხარის მოწესრიგებაც ესაჭიროება. თითოეული მილიონი ტონა ტვირთის გატარება კი განაპირობებს 5 მილიონამდე დოლარის აკუმულირებას სახელმწიფო ბიუჯეტში.

როგორც ცაგარეიშვილი აღნიშნავს, კვლევა, მათ შორის, ეყრდნობა დერეფნის გასწვრივ განლაგებული ქვეყნების მიერ გამოხატულ ინტერესსა და საჯარო პოზიციებს.

- **„მაგალითად, სომხეთმა, იმის გამო, რომ მისი ტვირთები ლარსზე კლიმატური პირობების გამო ძალიან ხშირად ჩერდება, განაცხადა, რომ ფოთი – კავკაზის ბორანს თავად დაფრახტავს. თუ არ იქნება მომგებიანი, დაასუბსიდირებს;**
- **არის მოლოდინი, რომ ირანის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები გარკვეულწილად შემსუბუქდება. მან დიდი შრომა ჩადო, რომ განავითაროს რუსეთთან დამაკავშირებელი ჩრდილოეთ-სამხრეთ დერეფნის ერთ-ერთი განშტოება, რომელიც ფოთის ან ბათუმის მიმართულებით ვითარდება. შექმნა იურიდიული ბაზა, მოლაპარაკებები გამართა საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, საბერძნეთის მთავრობებთან, რომ ეს მკვრივი დერეფანი შექმნას;**
- **თურქმენეთი ნავთობპროდუქტების ერთ-ერთი მსხვილი მიმწოდებელია კასპიის ზღვით აზოვის ზღვის გავლით შავი ზღვის აუზის ქვეყნების. იმ პირობებში, როდესაც სადღეისოდ უფუნქციოა უკრაინის ნავსადგურები და აზოვის ზღვა, დაახლოებით 3,5 მილიონი ტონა ტვირთის გადმოსროლა შეგვიძლია ჩვენს დერეფანზე. მაგრამ პრობლემა არსებობს იმ მიმართულებით, რომ თურქმენეთმა და აზერბაიჯანმა იურიდიული ასპექტები, ტექნიკურ-ორგანიზაციული საკითხები უნდა მოაგვარონ;**
- **ყაზახეთი და უზბეკეთი ერთ კონტექსტში წარმოვიდგინოთ: ბალტიისპირეთის ქვეყნებს დიდი ფუნქციონირებადი ნავსადგურები აქვთ, მაგრამ იმის გამო, რომ ნებისმიერი ტვირთი ცენტრალური აზიიდან რუსეთის გავლით უნდა შესულიყო აღნიშნულ ნავსადგურებში, რუსეთმა დიდი ხნის წინ მიიღო გადაწყვეტილება, ტვირთები ბალტიისპირეთის ნაცვლად თავის ნავსადგურებში გადასულიყო და ააშენა საკუთარი ნავსადგურები. მაგრამ, ახალი რეალობის გათვალისწინებით, ყაზახეთმა და უზბეკეთმა განაცხადეს, რომ მათ ინტერესში აღარ შედის რუსეთის სანქცირებულ ნავსადგურებში ტვირთის გაგზავნა და სურთ, დააბრუნონ ბალტიის ნავსადგურებში. საპასუხოდ რუსეთმა განაცხადა, რომ ტვირთს აღარ გაატარებს, ამიტომ, ამ ქვეყნებმა (ყაზახეთი, თურქმენეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი) გადაწყვიტეს, რომ უნდა შეიცვალონ დერეფნის მიმართულება მშრალი ტვირთის ევროპაში გასატანად და უნდა წამოვიდნენ ფოთსა და ბათუმში“.**

მაგრამ, როგორც ექსპერტი აღნიშნავს, ტვირთთა ნაკადის გატარების კუთხით რიგი ინფრასტრუქტურულ-ორგანიზაციული პრობლემებია არა მხოლოდ საქართველოს მონაკვეთზე, არამედ სხვა ქვეყნების პერიმეტრზეც, რასაც სათანადო ექსპერტიზა სჭირდება:

**„საქართველოს მონაკვეთი მთლიანი დერეფნის მხოლოდ 7%-ია, ხოლო დანარჩენი სხვადასხვა ქვეყნებზე გადის: თურქეთზე, აზერბაიჯანზე, ყაზახეთზე, თურქმენეთზე და ა.შ. ევროპის მხარეს – ბულგარეთზე და რუმინეთზე, რომელიც ასეთი სასტარტო დერეფნის შემადგენელი ქვეყნებია.**

**მაგალითად, ყაზახეთი გეგმავს, რომ ნავთობნაკადი, რომელიც ადრე რუსეთში მიდიოდა, საქართველოსკენ გადმოამისამართოს (როგორც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, ასევე რკინიგზის მიმართულებით). მან უნდა მოიძიოს გემები, რათა აზერბაიჯანში ტვირთი გადაიტანოს, სადაც ჩაიტვირთება ვაგონებში და მოვა ბათუმამდე. ამდენად, ინფრასტრუქტურული პრობლემები არა მხოლოდ საქართველოს მონაკვეთზეა. ამდენად, მნიშვნელოვანია, კვლევა გაგრძელდეს, კომპლექსურად შევისწავლოთ, სად არის ვიწრო ადგილები გამტარუნარიანობის თვალსაზრისით მთლიანი დერეფნის გასწვრივ. რაც მოიცავს არა მხოლოდ ინფრასტრუქტურულ, არამედ ორგანიზაციულ-ტექნიკურ მხარესაც – სავაგონო პარკი, იურიდიული ასპექტები, ტვირთების დაზღვევა, უსაფრთხოება – ეს არის კომპლექსური საკითხი, რომლის გარეშეც წარმოუდგენელი იქნება დერეფნის გასწვრივ ტვირთების გადაადგილება“.**

ექსპერტი ფიქრობს, რომ საქართველომ ახალი რეალობის გათვალისწინებით მის ხელთ არსებული ბერკეტით უნდა ისარგებლოს. ამ კონტექსტში ის ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის (იგივე ტრასეკა) არსებობას იხსენებს, რომლის მუდმივმოქმედი სამდივნო განთავსებულია ბაქოში.

**„მას ორგანიზაციულ-ინსტიტუციურ მხარდაჭერას უწევს ევროკავშირი. ხშირ შემთხვევაში პროექტების დაფინანსება ბრიუსელიდან ხდება. კარგი იქნება, თუ საქართველოს მთავრობა მიმართავს ბრიუსელს, ამ ახალი რეალობის გათვალისწინებით მოხდეს კომპლექსური კვლევა ტვირთნაკადების, მთელი დერეფნის გასწვრივ ვიწრო ადგილების გამოაშკარავების, რათა დაიდოს კომპლექსური გეგმა, რა არის გასაკეთებელი, რომ მოსალოდნელმა ნაკადმა დაუბრკოლებლივ გაიაროს. გამოვიყენოთ ჩვენს ხელთ არსებული ბერკეტი“.**



# ევროპაში ლეგალური დასაქმების შესაძლებლობას ქართველი მუშახელი ვერ იყენებს!

**ევროპაში სეზონურ სამუშაოებზე დასაქმების შესაძლებლობა განსაკუთრებით პანდემიურ პერიოდში გაჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ განაცხადი ათიათასობით შეივსო, დიდწილად ეს შანსი გამოუყენებელი დარჩა. როგორც ცნობილია, საქართველოს მთავრობა მოქალაქეების უცხოეთში ლეგალურად დასაქმებაზე ისევ მუშაობს.**

პორტუგალია, ესპანეთი, ჩეხეთი, ხორვატია, კვიპროსი, უნგრეთი, ფინეთი, ბელგია და საბერძნეთი – ეს იმ ქვეყნების ჩამონათვალია, სადაც ახლა მთავრობა ქართველების ლეგალურად დასაქმებას ცდილობს.

საქართველოს მოქალაქეების შრომისადმი დამოკიდებულების გათვალისწინებით სოციოლოგი პაატა აროშიძე „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ ევროპულ ქვეყნებში ლეგალური დასაქმების დიდ პერსპექტივას ვერ ხედავს. ნეგატიურ მოსაზრებას ამყარებს გერმანიაში მიღებული გამოცდილება, რის გათვალისწინებითაც აროშიძე აცხადებს, რომ ქართველებისთვის არც განახლებული პროგრამა იქნება მიმზიდველი.

**„პანდემიის შემდეგ ისე მოხდა, რომ ყველა ქვეყანამ დაიწყო ეროვნული ეკონომიკის წინ წამოწევა. მიხვდნენ, რომ სოფლის მეურნეობაში რაც მეტი მიწა დამუშავდება, მეტად იქნებიან დაცული გლობალური ნეგატიური პროცესებისგან. მოთხოვნის ზრდამ კი მუშახელის ნაკლებობა გამოიწვია. ეს არის ისეთი დასაქმების ადგილები, სადაც ან არ მიდის ადგილობრივი მოსახლეობა ანდა მძიმე სამუშაო პირობებია, ისე როგორც გერმანიის შემთხვევაში იყო. ქვეყნები სწორედ ამიტომ აცხადებენ ვაკანსიებს, რომ თავიანთი მოქალაქეები აღარ მიდიან იქ სამუშაოდ და ამის გათვალისწინებით ჩნდება ზედმეტი ადგილები.**

**ვფიქრობ, რომ ჩვენი მოქალაქეებისთვის ეს არ იქნება მიმზიდველი. ევროპაში შრომისადმი განსხვავებული დამოკიდებულება და კულტურა მოქმედებს. ევროპაში დასაქმება გვინდოდეს ევროპული ანაზღაურებით და ქართული წესებით, ნამდვილად ვერ მოხერხდება“,** – აცხადებს პაატა აროშიძე...

მისი თქმით, სოფლის მეურნეობის გარდა, ტექნოლოგიურ დარგებში დასაქმება ქართველებისთვის სხვა ქვეყნებში ჯერჯერობით შეუძლებელია.

**„რთულია ქარხნებსა და მსგავს ადგილებში დასაქმება, მაგრამ შრომატევად დარგებში სამუშაოს დაწყება არავის გაუჭირდება, ვინც კი პროგრამის ფარგლებში მოთხოვნილ პირობებს დააკმაყოფილებს. დეფიციტი ძირითადად სოფლის მეურნეობაშია, ტექნიკურ დარგებში, ტექნოლოგიურად განვითარებული მუშახელი საკმარისი რაოდენობით ჰყავს ყველა ნორმალურ ქვეყანას, საქართველოში ასეთი კადრი ცოტაა. ჩვენ მისაღები ვართ დაბალი შრომის ანაზღაურებით. რა თანხაც, ვთქვათ, გერმანიაში ადგილობრივს სჭირდება დღიური შრომის საფასურად, ქართველი სეზონურად მომუშავე, შეიძლება 1 კვირა ამუშაონ. ცხადია, ეკონომიას დიდ ანგარიშს უწევენ. ასე იქცევა ამერიკაც, რომელსაც თავისი საწარმოები მრავლად აქვს, მაგალითად, ჩინეთში, სადაც იაფი მუშა ხელი ეგულება,** – ამბობს პაატა აროშიძე.

სოციოლოგის აზრით, ქვეყნის გარეთ სეზონურად დასაქმება ქართველებისთვის, გარდა ფინანსური ინტერესისა, კარგია იმ მხრივაც, რომ ევროპული გამოცდილების მიღებას და სამშობლოში განხორციელებას შეძლებენ.

სულ რამდენიმე დღის წინ საქართველოს მთავრობის მიერ გავრცელდა ინფორმაცია, რომ გრძელდება ცირკულარული მიგრაციის პროექტები, რაც საქართველოს მოქალაქეებისათვის საზღვარგარეთ ლეგალურად დასაქმების საშუალებას ქმნის.

**პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ პარლამენტში წარდგენილ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ გერმანიასთან გაფორმებული შეთანხმების მიხედვით, გათვალისწინებულია წლიური კვოტა 5 000 ადამიანისათვის. 2021 წლის განმავლობაში შეირჩა და დასაქმდა 308 მოქალაქე, ხოლო 2022 წლის 1 მაისის მდგომარეობით 132 მოქალაქე.**

**ისრაელში ლეგალურად დასაქმების მიზნით, ბაზაში რეგისტრირებულია საქართველოს 2 076 მოქალაქე. აქედან, შეთანხმებაში წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ისრაელის მხარის მიერ შეირჩა 60 განმცხადებელი, რომელიც არის ე.წ. „ლატარიის“ ეტაპზე. ასევე, ისრაელთან გაფორმებული შეთანხმების განხორციელების პროცესის ხელშეწყობის მიზნით, 2021 წლის ბოლოს განათლების სამინისტროს სსიპ განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრსა და შესაბამის პროფესიულ კოლეჯებთან მჭიდრო თანამშრომლობით, შემუშავდა ახალი მოკლევადიანი (144-საათიანი) სასწავლო კურსი მომვლელებისთვის, „გერიატრიული ასისტენტი“, რომლის გავლის შემდეგაც, 2022 წლის ბოლომდე, ისრაელში დასაქმების შესაძლებლობა ექნება საქართველოს 1 000 მოქალაქეს.**

**მარი ჩიტაია**

# მარად ცოცხალი შემოქმედი



## დიდი მერაბ ბერძენიშვილის უკვდავება

მსოფლიო მნიშვნელობის ხელოვანს, უდიდეს ქართველ მოქანდაკეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო წევრს მერაბ ბერძენიშვილს 2022 წლის 10 ივნისს 93 წელი შეუსრულდებოდა.

ექვსი წელი გავიდა მერაბ ბერძენიშვილის გარდაცვალებიდან, ჩვენგან წავიდა განუმეორებელი ხელოვანი, დიდი მამულიშვილი და ბრწყინვალე პიროვნება.

მერაბ ბერძენიშვილი იყო მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ქართველი მოქანდაკე, ფერმწერი და გრაფიკოსი,საქართველოს დამსახურებული მხატვარი, საქართველოს სახალხო მხატვარი, რუსეთის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,სამხატვრო აკადემიის პროფესორი.

თავისი მონუმენტური, გრაფიკული თუ ფერწერული ნამუშევრებით მერაბ ბერძენიშვილმა ხელოვნების ისტორიაში საკუთარი ხელწერა შექმნა. მისი შექმნილია დავით აღმაშენებლის და დავით გურამიშვილის ქანდაკებები, ზაქარია ფალიაშვილის, დოდო აბაშიძის, სანდრო ახმეტელის, ტიციან ტაბიძის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა ფშაველას და ქეთევან წამებულის ძეგლები. მერაბ ბერძენიშვილს ეკუთვნის ყველასათვის ცნობილი ,,მუზა“ თბილისის მთავარი საკონცერტო დარბაზის წინ. ბავშვთა პარკში შექმნა ნოდარ დუმბაძის მემორიალი,მწერლის პორტრეტი და პერსონაჟები რომანიდან ,,მე ბებია,ილიკო და ილარიონი“.

დიდგორის ბრძოლის ადგილას მერაბის პროექტით განხორციელდა სკულპტურულ-არქიტექტურული კომპლექსი, მოსკოვში აღიმართა მერაბ ბერძენიშვილის მიერ შექმნილი შოთა რუსთაველის ძეგლი; კასპში – გიორგი სააკაძის ცხენოსანი ფიგურა, ასლი კი დაიდგა თბილისში. ბიჭვინთაში აღიმართა ქანდაკება ,,მედეა“, სოჭში – ,,ადამი და ევა“, მარნეულში აღიმართა კომპოზიცია ,,კიდევაც დაიზრდებიან“, გურჯაანში დაიდგა მემორიალური კომპლექსი ,,ჯარისკაცის მამა“, ქუთაისში – ომში გამარჯვების მემორიალი. მიჩიგანის ქალაქ ტრავერსიტიში დაიდგა კომპოზიცია ,,საქართველო, ავსტრიაში – ჰერმან კმაინერის ქანდაკება, ლაოსის მეფის სისავან ვონგის ძეგლი აღიმართა ვენტიანში, ხოლო ძეგლის ასლი – ქალაქ პრაბანგში.

მერაბ ბერძენიშვილის გამოფენები გაიმართა საქართველოსა და საფრანგეთში, რუსეთსა და ჩეხეთში, გერმანიასა და პოლონეთში, ბულგარეთში, ამერიკაში.

მერაბ ბერძენიშვილი სამი უმაღლესი სახელმწიფო პრემიის ლაურეატია, მიენიჭა ნობელის პრემიის ლაურეატის მედალი, დაჯილდოებულია რუსეთის სამხატვრო აკადემიის მედლით ,,ღირსეულს“, ღირსების დიპლომით და ვერცხლის მედლით ოცდამეერთე საუკუნის ჯილდო მიღწევებისათვის ქანდაკების სფეროში, გადაეცა საქართველოს მხატვართა კავშირის პრიზი „ოქროს ლომი“. იგი ასევე საქართველოს ეკლესიის წმინდა გიორგის ოქროს ორდენის მფლობელია. მერაბ ბერძენიშვილი თბილისის საპატიო მოქალაქე იყო...

ბატონი მერაბის სახით საქართველომ დაკარგა არა მარტო როგორც უდიდესი ხელოვანი, არამედ როგორც უაღრესად კეთილშობილი, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული და მის მომავალზე ფიქრით დამაშვრალი ადამიანი. მისი სახელი სამარადისოდ შევა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და ერთ-ერთ გამორჩეულ ადგილს დაიმკვიდრებს ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოს ღირსეულ მამულიშვილთა გვერდით.

საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე, აკადემიკოსი

**თამაზ შილაკაძე**



დავით აღმაშენებელი



შოთა რუსთაველი



გიორგი სააკაძე

**შეგახსენებთ, რომ ერეკლე მეფის მოღალატედ მოხსენიების შემდეგ, ცალკეულ ადამიანთა ჯგუფმა ხელმოწერების შეგროვება დაიწყო, რათა ლევან ბერძენიშვილს ლექციების კითხვა აეკრძალოს. პარალელურად, გამოჩნდნენ ბერძენიშვილის მიმდევრებიც, რომლებიც ერეკლე მეფის გაკრიტიკებაში შეეშველნენ ქართველ პოლიტიკოსს.**

# იდიოტიზმამდე მისული ქართველთა გულუბრყვილობა...



ამის შემდეგ ლევან ბერძენიშვილი ვითარების გამოსწორებას შეეცადა:

**„რა დავაშავე, ბოლოს და ბოლოს, ვთქვი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ისეთი ძვირფასი რამაა, მეფესაც კი არ აქვს მისი ჩაბარების უფლება. ეს მე ვთქვი, ლევან ბერძენიშვილმა, და ეს თქვა ნიკოლოზ ბარათაშვილმა და ვიღაცისთვის არ არის ავტორიტეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი? ილია ჭავჭავაძემ თქვა, გეორგიევსკის ტრაქტატის ასი წლისთავს ვინც აღნიშნავს, რაც იყო საქართველოს სიკვდილი, მე მაგ საქმეში არ ვიქნები, მე ჩემთვის, თქვენ-თქვენთვისო. ე.ი. ბარათაშვილს ებრძვიან, ებრძვიან ვის, ილია ჭავჭავაძეს?“**

ლევან ბერძენიშვილის იდეური თანამოაზრეები ფიქრობენ, რომ **ივანე ჯავახიშვილიც** მოღალატედ მიიჩნევდა მეფე ერეკლეს და ბევრად უფრო ადრე ამავე აზრს იზიარებდა ერეკლეს შთამომავალი **ნიკოლოზ ბარათაშვილიც.**

სინამდვილეში, რას ფიქრობდა ივანე ჯავახიშვილი, ეს დიდი მეცნიერი, გეორგიევსკის ტრაქტატზე, ეს მისმა ნაშრომმა შემოგვინახა. სხვათა შორის, ივანე ჯავახიშვილის მეუღლე ერეკლე მეორის შთამომავალი ანასტასია ჯამბაკურ-ორბელიანი იყო, რომელიც პაგანინის მოსწავლე და საქართველოში პირველი მევიოლინე ქალი გახლდათ.

ივანე ჯავახიშვილი გეორგიევსკის ტრაქტატის დადებას უშუალოდ ერეკლე მეფის კი არა, ზოგადად, მე-18 საუკუნის ქართველთა გულუბრყვილობად თვლიდა. ქართველებს ეგონათ, რომ რუსთ ხელმწიფეს საქართველოზე გული მართლაც შესტკიოდა, როგორც ბუნებრივ მოკავშირეზე, რადგან რუსები ერთმორწმუნენი იყვნენ, განსხვავებით, სპარსელებისა და ოსმალებისგან. ივანე ჯავახიშვილის თქმით, რუს პოლიტიკოსებს არ გამოჰპარვიათ ქართველთა ამგვარი პოლიტიკური გულუბრყვილობა და რუსეთის მთელი პოლიტიკა ქართველების ამ სუსტ გრძნობაზე იყო დამყარებული.

**„ქართველებს მხურვალე სარწმუნოებრივი გრძნობა აქვთ და ამაზეა დამოკიდებული მათი გულმოდგინება სრულიად რუსეთის კარისადმი“,** — ასე ამბობდნენ რუსეთის კარის წარმომადგენლები და ამით ახერხებდნენ, ივანე ჯავახიშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, ქართველების მოჯადოებას.

ქართველთა გულუბრყვილობა მარტო რუსებს არ შეუმჩნევიათ, ფაშისტური გერმანიის საიდუმლო მასალებშიც ქართველებს შემდეგნაირად ახასიათებენ: **„მათი პოლიტიკური გულუბრყვილობა იდიოტიზმამდე მიდის“.** ივანე ჯავახიშვილს თანამოძმეების გულუბრყვილობა არ მოსწონდა მაშინაც, როცა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ძველმა საბედისწერო სენმა თავი იჩინა და რუსეთს ყველაზე გვიან საქართველო ჩამოშორდა. ამდენად, დიდი მეცნიერი ასკვნიდა, როცა საქართველო დამოუკიდებლად აწარმოებდა პოლიტიკას, მაშინ დგებოდა მისი რენესანსიც, ხოლო როცა რუსეთს უახლოვდებოდა, საქართველოს საქმეები აირეოდა.

ივანე ჯავახიშვილი რუსული ღალატის მრავალფეროვან ისტორიას ვახტანგ მეექვსის პერიოდიდან იწყებდა. ერეკლემდე კარგა ხნით ადრე, როცა პეტრე პირველს დასჭირდა საქართველო სპარსეთზე გასალაშქრებლად, მაშინ თბილისში ვახტანგ მეექვსეს ეწვია პეტრე დიდის დესპანი და ქართველ მეფეს რუსეთის მფარველობა აღუთქვა სპარსეთში გალაშქრებისას დახმარების სანაცვლოდ.

ვახტანგ მეექვსე დათანხმდა, აიღო განჯა, მაგრამ პეტრე პირველი უკან გაბრუნდა, ვახტანგს კი შეუთვალა, „ნუ შეშინდები, განაგრძე სპარსეთთან ომი“. სპარსელებმა მოაოხრეს აღმოსავლეთ საქართველო, ვახტანგი კი რუსეთში გადაიხვეწა. ეს რუსების ღალატის პირველი მაგალითი იყო, რის შემდეგაც რუსული ღალატის კასკადი ერეკლე მეფემაც იგემა.

რაც შეეხება ერეკლე მეფის გადაწყვეტილების კიდევ ერთ განმაქიქებელს — ნიკოლოზ ბარათაშვილს, მართალია, მან „ბედი ქართლისაში“ გააპროტესტა ერეკლე მეფის გადაწყვეტილება სოლომონ ლიონიძის და მისი მეუღლის — სოფიოს პირით, მაგრამ მოგვიანებით დაწერილ ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“ ერეკლე მეფის „ტკბილ ნაყოფზე“ — მშვიდობაზე ისაუბრა, „სადაც აქამდის ხმლით და ძალით ფლობდა ქართველი, მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი“.

ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი** მიიჩნევს, რომ ერეკლე მეფე არის საქართველოს ერთ-ერთი სიმბოლო ყველა ქართველისთვის, ლევან ბერძენიშვილი კი, ალბათ, ეპატაჟის გამო იწვევს ჩვენს საზოგადოებას. ბერძენიშვილმა შესანიშნავად იცის, ერეკლე მეფის მოღალატედ გამოცხადებას რა რეაქციაც მოჰყვება, მაგრამ მას არ აქვს სხვა რაიმე მეთოდოლოგია, რომ საზოგადოებას თავი შეახსენოს. რაც ყველაზე ამაზრზენია, გარკვეულ საზოგადოებაში ის ამით სახელს იმაგრებს, გამოხმაურებებიც აქვს, მათ შორის, ვახო სანაიას და სხვების მხრიდან, რომლებიც აბსურდულ ინფორმაციებს ავრცელებენ, თითქოს ერეკლესთან დაკავშირებით კითხვები არსებობს. სინამდვილეში, ეს საკითხი დიდი ხანია, პასუხგაცემულია.

უნდა აეკრძალოს თუ არა ლევან ბერძენიშვილს ლექციები, ამასთან დაკავშირებით დავით ზარდიაშვილი მიიჩნევს, რომ აკრძალვა კონტრპროდუქტიულია, უბრალოდ, მომხდარს უნდა დაერქვას თავისი სახელი, მათ შორის, ლევან ბერძენიშვილის სტუდენტების მიერაც.

**„დარწმუნებული ვარ, ასეც მოხდება. არა მგონია, ანტიკური ლიტერატურის ლექციებზე ლევან ბერძენიშვილი ასეთ თემებზე საუბრობდეს და ასეთი ეპატაჟით იყოს დაკავებული. როცა ასეთი არჩევანი დადგა ქართლ-კახეთის სამეფოს წინაშე, ბუნებრივია, ეს მძიმე გადაწყვეტილება იყო და საქართველო თმობდა თავისი სუვერენიტეტის ნაწილს. მაშინდელი სუვერენიტეტი მეფეთა უფლება იყო. იმ პერიოდში რუსეთთან ურთიერთობის შესახებ, რასაკვირველია, იყო დავა და, საბოლოო ჯამში, „ბედი ქართლისაში“ ნიკოლოზ ბარათაშვილმა ეს საკითხი წამოსწია. რამდენიმე წლის შემდეგ კი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“ დაიწერა, საიდანაც საბოლოოდ ირკვევა, რომ არავითარი ეჭვი არ დარჩენია დიდ პოეტს მეფე ერეკლეს მიმართ. რა თქმა უნდა, წონადია არგუმენტი, რომ რუსეთთან შეერთებით საქართველო თავისი სუვერენიტეტის ნაწილს თმობდა, მაგრამ ეს რომ ღალატით არ ხდებოდა, ესეც რეალობაა.**

**ამდენად, ლევან ბერძენიშვილის ნათქვამი წარმოუდგენელი ფალსიფიკაციაა ისტორიისაც, სიმართლისაც, ზნეობისაც, მორალისაც. გავიხსენოთ ჩვენი საამაყო სიმღერა „ჩაკრულო“, მის ტექსტში ნათქვამია, „ხმალო, ხევსურეთს ნაჭედო, თელავში თუშმა გაგფერა, მეფე ერეკლემ გაკურთხა, საომრად ჯვარი დაგწერა“. ეს ნიშნავს, რომ მეფე ერეკლეს ნაკურთხი ხმალი არის საქართველოს ერთ-ერთი მთავარი საომარი სიმბოლო. როგორ შეიძლება, ამ ხმლის პატრონს, ანუ ქართული ხმლის მაკურთხებელს დაარქვა მოღალატე? ეს წარმოუდგენელი მკრეხელობაა“,** — აღნიშნა დავით ზარდიაშვილმა.

დავით ზარდიაშვილის გულისტკენას იწვევს ის ფაქტიც, რომ ერეკლეს აბრალებენ ისეთ რამეს, რაც მას გულში არ გაუვლია და რაც მერე რუსებმა ანექსიის გზით განახორციელეს. ცნობილი ფაქტია, რომ რუსებმა სიონის საკათედრო ტაძარში შეკრიბეს ქართველი თავადაზნაურობა, გარშემო ზარბაზნებით ალყა შემოარტყეს და დააფიცეს რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე. ასეთი ამაზრზენი უსჯულოება საქართველოსთვის არავის უკადრებია, თვით საშინელ დამპყრობლებსაც კი.

**ერეკლეს არ უცდია რუსეთისთვის ქართული სახელმწიფოს ჩაბარება, არც გიორგი მეთორმეტეს. ეს მოხდა მაშინ, როცა გიორგი მეთორმეტე გარდაიცვალა, რასაც მოჰყვა პავლე პირველის მანიფესტი და გაუქმდა ქართლ-კახეთის სამეფო. ვერც ერეკლე მეფის, ვერც გიორგი მეთერთმეტის სიცოცხლეში ამას ვერავინ გაბედავდა, რადგან ქართველი თავადაზნაურობა, რომელსაც ფიცი ჰქონდა დადებული ბაგრატიონების ტახტის წინაშე, არც ერთ შემთხვევაში არ დადებდა ფიცს რუსეთის საიმპერატორო ტახტის წინაშე და ამას მოჰყვებოდა ფიზიკური კონფლიქტი.**

**ეს რომ ანექსია იყო, ამას ადასტურებს მთელი ისტორია, მე-19 საუკუნის შემდეგ რამდენჯერმე მოეწყო აჯანყება, პირველად 1803 წელსვე დაიწყო დიდი აჯანყება ჯერ კახეთში, მერე მთიულეთში. დავით ზარდიაშვილის აზრით, წარმოუდგენელი ძალადობის შედეგი იყო საქართველოს დაპყრობა, ქართველი კაცისთვის ეს იყო გაუგებარი მარტო იმიტომ, რომ რუსული ენა არ ესმოდათ, რომელზეც რუსი მოხელეები და მოსამართლეები ლაპარაკობდნენ.**

შემდეგ ამას მოჰყვა ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება რუსეთის მიერ. მრავალგზის დაპყრობის მიუხედავად, ამას ვერ ეგუებოდა ქართველი ერი, რომელშიც შიდა სუვერენიტეტი მაინც შენარჩუნებული იყო, მაგრამ ეს გაბედა რუსეთის იმპერიამ...

**მარიამ ლოლაშვილი**

---

◎ წკეპლიკა

## ორიოდ სიტყვით, ბ-ნ ლევან ბერძენიშვილს, ყოფილ „მჯერა“-ს

**სხვათა შორის, თუ იმდენად მოვეგებით გონს, რომ თქვენგანვე გენიოსად არაერთგზის აღიარებული პოეტის პოემას „ბედი ქართლისა“ უკულმა არ წავიკითხავთ, მივხვდებით, რომ მეტაფორასთან გვაქვს შეხება: ბარათაშვილი სათაურშივე ააშკარავებს თავის შეხედულებას ამ, ვითომ საჭოჭმანო, ბრიყვულად შეთითხნილ ბრალდებასთან დაკავშირებით — იმ ისტორიულ კონტექსტში საქართველოს, „სხვა ხსნა, სხვა გზა არ გააჩნდა!.. რომ დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება“ — მისი ბედისწერა გახლდათ!..**

თუმცალა (ბედისწერა ყოველთვის აპოკალიფსს არ გულისხმობს!), პოემაში მაინც იკითხება (თუ განგებ არ დავიბრმავებთ თვალებს!), რომ ალტერნატივა საერთოდ გაქრობით ემუქრებოდა ქრისტეს გზაზე ხუთი საუკუნით ადრე შემდგარსა და ღვთისმშობლის კალთას ამოფარებულ, ეგზომ მცირერიცხოვან ჩვენს ერს!..




ისევ და ისევ, სხვათა შორის, ჯერაც კიდევ ბოლომდე შეუცნობელი და გულისყურით წაუკითხავი, მსოფფაშიზმის დამსამარებელი ტიტანის, იოსებ ჯუღაშვილის აზრით — **„Грузия выбрала наименьшее зло!“**

საქართველომ, ანუ მეფე ერეკლემ, იგივე „პატარა კახმა,“ ჯაჭვის პერანგი რომ ჩააცვეს და გაჰკრა ხელი და გახია“! ოთხმოცს მიტანებულმა ლომმა, ამდენივე, ჭრილობით რომ დატოვა გაუგონარი ღალატით წაგებული, მოგებული კრწანისის ომი!

თქვენ კი, გეტყობათ, დღესაც „გჯერათ“ თქვენი შევარდნისა და კერპის, რომელმაც საიმედოდ დაიმკვიდრა არა საუკუნო სასუფეველი, არამედ -ძვალთშესალაგი კრწანისის გმირების გვერდით, საკუთარ რეზიდენციაში და, რომელმაც რიხიანად განაცხადა 1973 წლის ოქტომბერში, ალმა-მატერში გამართულ საერთაშორისო სიმპოზიუმზე, რომ **„Не было никакого Наименьшего зла: было зло в лице Турции и было Добро – в лице России!“...**

**გიზო ზარნაძე**

# გცემეს და კარგიც უქნიათ!

**ო, ენავ ჩემო, ძირში მოსაჭრელო!..**

**იქ–ომი, აქ–ომი...**

**იქ რაკეტებს უჟაჟუნებენ ერთმანეთს გუშინდელი ძმები, აქ ენებით გმირავენ ერთმანეთს ევროკავშირის სტატუსის მიღება–არმიღებამდე დანასისხლად წაკიდებული ძმები, უფრორე–დები...**

**ღმერთო, შეგცოდე და ამ წუთში მე ის უფრო მაინტერესებს, აქ როგორ წარიმართება ეს ონლაინ ომი, ვიდრე იქ, სადაც ხვალის მოსალოდნელობა ასე თუ ისე სწორად შეგიძლია იწინასწარმეტყველო.**

აქ კი პირდაპირ უპატრონო ეკლესიის კალეიდოსკოპი გვაქვს. “იმის“ მოლოდინის დღეებში საოცრებები ხდება. ჩვენმა რადიკალურმა ოპოზიციამ (აი, იმან, ღამე ფეხი საბნის გარეთ თუ დაგრჩა, რომ მოგაჭამს) ჯერ იყო, ევროპა-ამერიკა შეაჯერა ღობე-ღობე ძრომიალით, ღმერთი არ გაგიწყრეთ, საქართველო რა ევროკავშირის წევრობის ღირსიაო, ახლა კი, როცა ლოდინიღა დარჩა, ცოტა სხვანაირად, გადამკვდარი ჭირისუფალივით იქცევა, ვითომ ისიც კბილზე კბილდაჭერილი ელოდება ბრიუსელის ვერდიქტს...

მაგრამ შუბს ხალთაში ვერ დამალავ. დღე ერთია და ჩასაფრებული ჭორიუამრავი. „უბადრუკი“ ხელისუფლების ახალ სიგლახეებზე, თავს რომ ჭრის ქვეყანას მთელ მსოფლიოში, აშკარავდება ცხელ-ცხელი ალიანსის ფაქტები პუტინის რეჟიმთან, გვეცნობება მშრომელთა გამოსვლა-გაფიცვები გულისმომწყვლელი მოთხოვნებით... ერთი სიტყვით, დასტურდება რომ საქართველო არანაირად არ არის მზად ევროკავშირისთვის, რაგინდ მკერდში მჯიღები ირტყას




“ქართულმა ოცნებამ“ და მისმა უზურპატორმა მთავრობამ. გინდა-არ გინდა, იფიქრებ, რომ შემთხვევით არაფერი ხდება, რომ ყველაფერი ერთ ძაფზეა ასხმული და ერთ მიზანს ემსახურება. სწორედ ამ ასხმულთაგან ერთ-ერთად შეიძლება მიიჩნიო ამ დღეებში... მეფე ერეკლეს წინააღმდეგ აგორებული „კრიტიკა“. ამჯერად საზოგადოებისთვის ცნობილმა პიროვნებამ, საბჭოთა პერიოდის პოლიტპატიმარმა, პოპულარულმა ლიტერატორმა და ტელელექტორმა ლევან ბერძენიშვილმა გაიწყვიტა შუბლის ძარღვი და უკადრისზე უკადრისი დარტყმა მიაყენა თავის ქვეყანაზე გადამკვდარ მეფე ერეკლეს — მოღალატედ, უფერულ და უნიჭო მონარქად შერაცხა.

თავს უფლებას არ მივცემ, “გავამართლო“ ერეკლე. მას ეს, უბრალოდ, არ სჭირდება. არც ერთ ქართველ მეფეზე არ შემორჩენილა საყოველთაო სიყვარულისა და პატივისცემის გამომხატველი იმდენი ხალხური ლექსი, თქმულება, გადმოცემა, რამდენიც პატარა კახზე (ამ თიკუნითაც ჩანს დაუდგრომელი, უმამაცესი, უკეთილშობილესი ხელმწიფისადმი ყმათა დამოკიდებულება, მისი ტანმორჩილობის კი არა, სიდიდის, ძლევამოსილებისა და თაყვანისცემის ხაზგასმა. “პატარა კახი“ და არა “მოკლე ფაშა“ ნაპოლეონის მსგავსად...).

რაც შეეხება “ღალატს“, ქართველობამ ორი საუკუნეა სწორად მიიჩნია მისი ქმედება, ქართლ-კახეთის ბედი რომ ოსმალეთ-სპარსეთზე ნაკლებ ბოროტებას-რუსეთს დაუკავშირა!

რატომ, რაში დასჭირდა ეს უკეთური წიაღსვლა ამ კაცს, ადვილი გასაშიფრია. რაკიღა „დიდი ხანია გულსა ირაკლის გარდუწყვეტია ბედი ქართლისა“, რუსეთთან გეორგიევსკის ტრაქტატი დადო, რითაც ქვეყანა მის მფარველობაში (და არამც და არამც შემადგენლობაში) შეიყვანა; რაკიღა რუსებმა უნამუსოდ მოატყუეს და უღალატეს; რაკიღა რუსები დღეს ჩვენი „უპირველესი მტრები“ არიან, იმდენად რომ, მათი არამაგინებელ კონტექსტში მოხსენიებაც კი ლამის ღალატის ტოლფასია, მით უფრო დღეს, ბრიუსელის კარზე ყურმიდებულობის ჟამს, ამ რადიკალურად ოპოზიციონერმა ტელეოქროპირმა მომენტი ხელიდან არ გაუშვა და თანამოაზრეთ სატოპკე აუწია!



საერთოდ, ლევან ბერძენიშვილს ჩვევად აქვს ლექციის ქსოვილში, მაგალითად, ოიდიპოსის ბედუკუღმართობის აღწერისას, ისე მოხერხებულად ჩააკვეხოს თავისი პოლიტპატიმრობისეული განცდილ-ნააზრევი, რომ სლოკინს დაგაწყებინებს.

ერთხელ, ვაჟა-ფშაველაზე საუბრისას თხრობა იმით გაამდიდრა, რომ, ვითომ სიტყვამ მოიტანაო, გვიამბო, ღმერთმა იცის, ვის მიერ და როდის შეთხზული ჭორი. ლუკა რაზიკაშვილს გორის სემინარიაში სასწავლებლად რომ ჩავიდა (მაშინ ის 16-17 წლის ყმაწვილი იყო), ერთ მუბუქი ყოფაქცევის ქალთან, მრეცხავ კეკესთან ჰქონდა კავშირი, რის შემდეგაც გაჩნდა ვაჟი, მომავალი იოსებ სტალინიო... ასეთ „ამბებს“ სტალინის ფანატიკურად მოძულე ტროცკისტები თხზავდნენ თავის დროზე და დღეს წლებით დამძიმებულ, სერიოზულ ლიტერატორს კი ღირსებას ვერ მატებს. ზემოთ მოთხრობილ ბერძენიშვილისეულ გამოხდომას უკვალოდ არ ჩაუვლია. აღშფოთებულმა თელაველებმა აიღეს და ბატონის სასახლესთან, ერეკლეს ძეგლის სიახლოვეს არსებულ საზოგადოებრივ საპირფარეშოს ლევან ბერძენიშვილის სახელი მიაკუთვნეს, თან კედელზე, მეტი კონკრეტიზაციის მიზნით მისი გაღიმებული სურათი დაკიდეს. ამაზე ლევანმა ვითომ ფეხებზემკიდია გამოხმაურებით „უპასუხა“, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, რომ გული დაკოდილი ჰქონდა, განსაკუთრებით, როცა ამოიგმინა, ზოგ-ზოგები ჩემთვის აუდიტორიაში შესვლის აკრძალვას ითხოვენო.

სხვათა შორის, „ერეკლეს თემამ“ პარლამენტშიც გაიგრილა და, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი ღრიანცელი მოჰყვა. ოპოზიციამაც და პოზიციამაც კიდევ ერთხელ ამოიფერთხა გული. რუთაველზე კი №2 ბერძენიშვილს, რესპუბლიკური პარტიის გიგანტს დავითს ვიღაც ერეკლისტმა მწარე-მწარე რაღაცეები აკადრა, წაუთაქა კიდეც და კუტუსკაში წასაყვანად გაიხადა საქმე.

ისე რომ, თუ ბატონ ლევან ბერძენიშვილს ზაქის მწვადის ან ღანძილის დასაგემოვნებლად თელავში მოეგუნებება ჩასვლა (ოღონდ, ჯოყოლა ალხასტაისძის მსგავსი უტეხი კაცის და არამც და არამც ნაცი გ. ბოტკოველის მასპინძლობით), გამორიცხული არ არის, წაადონ და აფშლუკუნებულს — „მცემეს, ძიაო“, დასამშვიდებლად ჩაუვაჟაფშაველონ:

**გცემეს და კარგი უქნიათ,**
**მე რა გამგე ვარ მაგისაო.**

ამიტომ განათლებულ, დროულ კაცს ძირში მოსაჭრელი ენისთვის ლაგამის ამოდების უნარი უნდა გქონდეს, რათა გასასილაქებლად და საჰაიჰუოდ არ გაიხადო საქმე.

ეს ისე...

* * *

**ახლა ორი სიტყვა „იქ“ მიმდინარე ომზე. ჯერ ერთი, ომი ძირითადად პოზიციურ ბრძოლებზე გადავიდა. მეორეც, რატომღაც არა და არ მიეცა დასაბამი პარტიზანულ ომს, რისი მოლოდინი და იმედიც მთელ მსოფლიოს ჰქონდა. სამაგიეროდ, ეს იმედი ახლა უკრაინისთვის დიდ რადიუსზე მოქმედი რაკეტების მიწოდებაზეა, რასაც კიევი ყელგამოწვდილი ითხოვს, რუს სამხედროებსა და მათი იარაღის საწყობებზე დარტყმების განსახორციელებლად, ოღონდ ეს კია, პუტინი აცხადებს, იერიშს ახალ სამიზნეებზე მივიტან, როგორც კი ამერიკა უკრაინაში დიდ რადიუსზე მოქმედი რაკეტების მიწოდებას დაიწყებსო. მისი აზრით, ზეიარაღის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება — კონფლიქტის გაჭიანურებას.**

თუმცა, არის აგრესორის დამარცხების კიდევ ერთი ფარული იარაღი, რომელზეც ხმამაღლა არ ლაპარაკობენ, მაგრამ დიდ იმედს კი სდებენ. ეს სასწაულმოქმედი იარაღი პრეზიდენტ პუტინის რაც შეიძლება ჩქარა იმ ქვეყნად გამგზავრებაა. ამის თაობაზე მინიშნებებით დარბაისელი სახელმწიფო ორგანიზაციებიც კი იწუხებენ თავს.

ამას წინათ მსხვილმა დასავლურმა გამოცემამ „**newsweek**“-მა გამოაქვეყნა ამერიკის დაზვერვის საიდუმლო მოხსენება, რომელიც მაისში მომზადებულა პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის. ანგარიშის თანახმად, რუსეთის პრეზიდენტმა თურმე აპრილში სავარაუდოდ პროგრესირებადი კიბოს მკურნალობის კურსი გაიარა და მხოლოდ შემდეგ გამოჩნდა საჯაროდ. მარტში კი მასზე თავდასხმა მომხდარა. აშშ-ის დაზვერვის ერთ-ერთი მაღალჩინოსნის შეფასებით პუტინის ძალაუფლება კვლავ ძლიერია, ოღონდ, უკვე აბსოლუტური აღარ არის. კრემლში ბრძოლაა გაჩაღებული, რომელიც ასეთი ინტენსიური არასოდეს ყოფილა, ყველა გრძნობს, რომ დასასრული ახლოსაა. ამასთან, დაზვერვის ყოჩაღი აგენტი წუწუნებს, პუტინის შინაყუდობის გამო ძნელია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის ზუსტად შეფასებაო.

სტატიის გამოქვეყნების შემდეგ, როცა მკითხველთა გულში იმედი ჩაისახა, აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების საბჭომ ყველას ცივი წყალი გადაასხა, დაზვერვას მსგავსი შეფასება არა აქვს და, ბუნებრივია, მას არც პრეზიდენტი ბაიდენი გაცნობიაო. მოდი და ამის შემდეგ თვალდახუჭული ენდე დასავლეთის თავისუფალ მედიას! ჩვენ კი გვეგონა, მხოლოდ „ტვ პირველი“, „მთავარი არხი“ და „ფორმულა“ აფრენდნენ იხვებს.

ისე, პუტინის მძიმე დიაგნოსტირებისა და მასზე წარუმატებელი თავდასხმის შესახებ მაისის შუა რიცხვებში უკრაინის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის სამმართველოს ხელმძღვანელმა კირილ ბუდანოვმაც განაცხადა, რასაც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა ჭორი უწოდა.

**მართლა ჭორია?**
**მართლა „სიმართლეს არ შეესაბამება“?**
**ღმერთმა იცის!**

**ალეკო ასლანიშვილი**

## გენიალური რეჟისორის საიუბილეოდ



**კოტე მარჯანიშვილის დაბადებიდან 150 წლის იუბილეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივი ონლაინ-გამოფენას უძღვნის,** — ამის შესახებ აღნიშნულია ეროვნული არქივის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

**რეჟისორი 1872 წლის 9 ივნისს ყვარელში დაიბადა. თეატრით ჯერ კიდევ თბილისის პირველი გიმნაზიის მოწაფეობისას დაინტერესდა. მისი სამსახიობო დებიუტი ქუთაისში, კოტე მესხის თეატრში, შემდეგ კი სპექტაკლში „პატარა კახი“ შედგა. თუმცა, სამოყვარულო თეატრი მას გაცილებით ადრე, მშობლიურ ყვარელში ჰქონდა ჩამოყალიბებული. თეატრის რეჟისურაში 1904 წლიდან მუშაობდა, 1920-იან წლებში ქართულ კინემატოგრაფიას სხვადასხვა ჟანრის ექვსი მხატვრული ფილმი შემატა. ონლაინექსპოზიცია ეროვნულ არქივში დაცულ მრავალფეროვან მასალას მოიცავს — ფოტოებს მხატვრული ფილმების გადასაღები მოედნებიდან და თეატრალური სპექტაკლებიდან, საგაზეთო აფიშებს, კოტე მარჯანიშვილისა და მისი დასის 1930 წლის საიმიჯო ვიდეორგოლს, სხვადასხვა ცნობილი ადამიანის მოგონებას რეჟისორის შესახებ და სხვა საარქივო მასალას.**

# გეოგრაფიული აღნიშვნები

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - საქპატენტი „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, აქვეყნებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი განაცხადების მასალებს გეოგრაფიულ აღნიშვნებზე „აჯიკა“ და „ტყემალი“.

თუ გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ამ მასალებთან დაკავშირებით საქპატენტში არ შემოვა დამატებითი ინფორმაცია, გეოგრაფიული აღნიშვნების რეგისტრაციის შესახებ ცნობები შეტანილი იქნება ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის სახელმწიფო რეესტრში და გამოქვეყნდება საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში.

თუ განაცხადის მასალების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ამ მასალებთან დაკავშირებით საქპატენტში შემოვა დამატებითი ინფორმაცია, ის შესასწავლად გადაეგზავნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

## აჯიკა
### სპეციფიკაცია

**განაცხადის** №3509/7
**განაცხადის შეტანის თარიღი:** 25/08/2021
**გეოგრაფიული აღნიშვნა:** აჯიკა
**საქონლის დასახელება, რომლისთვისაც მოითხოვება გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია:** აჯიკა (საკმაზი)
**განმცხადებლის სახელი და მისამართი:** საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; მარშალ გელოვანის გამზ. №6, 0159 თბილისი, საქართველო

**1. პროდუქტის დასახელება:** აჯიკა

**2. პროდუქტის აღწერა**

აჯიკა წარმოადგენს პასტისებური კონსისტენციის მქონე საკმაზ-სანელებელს. იგი ფართოდ გამოიყენება როგორც კერძების მომზადებისას, ისე დამოუკიდებლად, სუფრაზე გამოსაყენებელი სანელებლის სახით.

აჯიკა საუკუნეებია მზადდება საქართველოში, უპირველეს ყოვლისა აფხაზეთსა და სამეგრელოში ოდნავ განსხვავებული რეცეპტების საფუძველზე[1]. ამჟამად აჯიკის წარმოება, მისი ნაირსახეობების სახით, უკვე ფართოდ არის გავრცელებული მთელ საქართველოში და დიდი პოპულარობით სარგებლობს მოსახლეობაში.

აჯიკის დასამზადებელი რეცეპტები ზეპირსიტყვიერად ან წერილობით გადაეცემოდა თაობიდან თაობას. გამოყენებული რეცეპტის მიხედვით, აჯიკა ხასიათდება სხვადასხვა დონის სიცხარითა და განსხვავებული არომატულობით.

ამ რეცეპტების მიხედვით, პროდუქტის აუცილებელი შემადგენლებია: წითელი ცხარე წიწაკა, მარილი, ნიორი, ხმელი სუნელი და უცხო სუნელი. რეცეპტებით დასაშვებია, ასევე, გემოვნებით დაემატოს გატარებული ან დანაყილი ნიგოზი, თხილი, მზესუმზირის თესლი და სხვადასხვა მწვანილი (გამხმარი და ნედლი სახით). სიცხარის შემცირების მიზნით, შესაძლებელია ცხარე წიწაკის ნაწილობრივ ბულგარული წიწაკით (ლათ. Capsicum annuum L) ჩანაცვლებაც.

გულმოდგინე მომზადების შედეგად მზადდება აჯიკა – ერთგვაროვანი, შესქელებული ცხარე მასის სახით, რომელსაც მუქი წითელი ან მოწითალო-მოყავისფრო ფერი აქვს.

აჯიკის დასამზადებლად წითელი წიწაკის ნაცვლად დასაშვებია ნედლი მწვანე წიწაკის გამოყენებაც. ამ შემთხვევაში აჯიკას უკვე მომწვანო შეფერილობა აქვს.

ხაზი უნდა გაესვას აჯიკის მზა პროდუქტის მდიდარ და უნიკალურ არომატს, რაც ინგრედიენტების გულმოდგინე დამუშავებას და, შედეგად, ნედლეულისაგან ეთერზეთების ინტენსიურ გამოყოფას უკავშირდება.

არომატის უნიკალურობას, სხვებთან ერთად, განაპირობებს ისიც, რომ მასში გამოყენებულია საქართველოში მოყვანილი მწვანილები და მათგან დამზადებული სუნელები, რომლებიც, ჩვეულებრივ, გამორჩეულია გემური მახასიათებლებით და სურნელოვნებით.

**3. მომზადების მეთოდი**

- გამხმარი წითელი წიწაკა ირეცხება, ლბება და ჩამოკიდებულ მდგომარეობაში შრება;
- გამშრალი წითელი წიწაკა ტარდება ხორცსაკეპ მანქანაში. ნაკლები სიცხარის მქონე აჯიკის მიღების სურვილის შემთხვევაში, წიწაკა წინასწარ სუფთავდება თესლისაგან;
- წიწაკა იფქვება ჯერ მსხვილად, შემდეგ წვრილად;
- ემატება წინასწარ გარჩეული ნიორი და სუნელი და მიღებული მასა რამდენჯერმე ტარდება ბადეში;
- მიღებულ მასას ეყრება მარილი, ემატება ანადუღარი ცივი წყალი და ხდება მისი გულმოდგინე მორევა სქელი ერთგვაროვანი მასის მიღებამდე;
- შემდგომ, გემოვნების მიხედვით, ემატება სხვა ინგრედიენტებიც.

აჯიკის მწვანე წიწაკით დამზადების შემთხვევაში, გამოიყენება ხორცსაკეპ მანქანაში წინასწარ გატარებული მასა.

**4. გეოგრაფიული არეალი**

აჯიკის დასამზადებლად გამოყენებული წიწაკა, ნიორი, ნედლი მწვანილი და ხმელი სუნელები, მზა პროდუქტის სახით, უნდა იყოს წარმოებული მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე. ისეთი ინგრედიენტები, როგორიცაა ნიგოზი, მზესუმზირა და მარილი შეიძლება იყოს არაქართული წარმოშობისაც.

**5. კავშირი გეოგრაფიულ არეალთან**

აღსანიშნავია, რომ აჯიკა ცალსახად აფხაზური[2] წარმომავლობისაა, რაც მისი თავდაპირველი დასახელებითაც „აპირპილ-ჯიკა“ (აფხაზურად წიწაკიანი მარილი) დასტურდება. ამ პროდუქტის „აჯიკის“ სახელწოდებით შემდგომი გავრცელების არეალი სამეგრელო, უფრო მოგვიანებით კი დასავლეთ საქართველო და მთლიანად საქართველოც გახდა.

ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად[3], აპირპილ-ჯიკას წარმოშობა უკავშირდება აფხაზ მწყემსებს, რომლებიც დიდი ხნით რჩებოდნენ მთებში, ალპურ საძოვრებზე, ცხვრის ფარის სამწყესავად. ცხვრისგან მიღებული მხოლოდ ხორცისა და რძისაგან შემდგარი მწირი რაციონის გამრავალფეროვნების მიზნით, მწყემსები საკვებს ბალახეულისა და მარილის ნაზავს უმატებდნენ. მარილს კი საქონლის მეპატრონეების მიერ ცხვრების გამოსაკვებად გათვალისწინებული მარაგიდან იღებდნენ (მარილი საქონელს მადას უღვიძებს, შესაბამისად, ისინი მეტ წყალსა და მეტ საკვებს მოიხმარენ, რაც მათ წონას მატებს). ვინაიდან იმ დროს მარილი საკმაოდ ძვირადღირებული პროდუქტი იყო, დაქირავებული მწყემსები მას იპარავდნენ საკუთარი მოხმარებისთვის. ქურდობის თავიდან ასაცილებლად, მეპატრონეები „ცხვრის საგზალს“ ცხარე წიწაკას აყრიდნენ. თუმცა, წიწაკიანი მარილი მეცხვარეებისთვის უფრო საინტერესო აღმოჩნდა. მეტიც, შემდგომში წიწაკიანი მარილის სანელებლებითა და ბალახეულით შეზავებით კიდევ უფრო გააუმჯობესეს მისი გემური მახასიათებლები.

ვინაიდან ამერიკიდან ევროპაში შეტანილი სხვა პროდუქტების მსგავსად, წიწაკა XV საუკუნეში გავრცელდა საქართველოშიც, უნდა ვივარაუდოთ, რომ აპირპილ-ჯიკას წარმოშობაც ამ პერიოდს უკავშირდება.

ტრადიციულად, აფხაზეთში წიწაკას მარტში რგავდნენ. მოსავალს იღებდნენ მაშინ, როდესაც ყველაზე ქვედა ნაყოფიც კი გაწითლდებოდა. ამის შემდეგ, აკინძულ წიწაკას გამოსაშრობად დაწნილ აფაცხაში (იგივე ფაცხაში – სამეურნეო დანიშნულების ან საცხოვრებელი ნაგებობა) კიდებდნენ და აშრობდნენ.

აფხაზურ აპირპილ-ჯიკას სპეციალურ ჭურჭელში – ახაკიაში ამზადებდნენ. ახაკიას ბრტყელ ქვას ეძახდნენ, რომელსაც შუაგულში მცირედი ჩაღრმავება ჰქონდა. მის ზედაპირზე მეორე ქვით (აპხნიგა) აპირპილ-ჯიკას ინგრედიენტებს ორი ხელით დიდი ხნის განმავლობაში სრესდნენ, ერთგვაროვანი მასის მიღებამდე. სურვილის შემთხვევაში, სიცხარის შესამსუბუქებლად, წიწაკას ასუფთავებდნენ თესლებისგან.

როგორც აღინიშნა, თავდაპირველმა რეცეპტმა განიცადა რიგი ცვლილებები. თუ ძველად აპირპილ-ჯიკას მოსამზადებლად წიწაკა უნდა შებოლილიყო, ახლა ნაკლებად მიმართავენ ამ მეთოდს და წიწაკის გაშრობა ბოლის გამოყენების გარეშე ხდება. გარდა ამისა, წიწაკის დასაქუცმაცებლად, ახაკიის ნაცვლად, ოჯახებში უფრო მოხერხებულ საშუალებას – ქვასანაყს ან ხორცსაკეპ მანქანას იყენებენ, ხოლო საწარმოებში ამ დანიშნულებით შედარებით მაღალი წარმადობის ტექნიკური მოწყობილობებია გამოყენებული.

კლასიკური აფხაზური აპირპილ-ჯიკის მოსამზადებლად სულ რამდენიმე ინგრედიენტი გამოიყენებოდა. ეს იყო: წითელი ცხარე წიწაკა, მარილი, ნიორი და ხმელი ქინძი.

ამჟამად, „აჯიკის“ დამზადებისას ტრადიციულ ინგრედიენტებად მიიჩნევა, ასევე, ნიგოზი და გემოვნებით დამატებული სხვადასხვა სანელებლები და მწვანილებიც.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2018 წლის 19 ნოემბრის №02/67 ბრძანებით, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა აფხაზური აპირპილ-ჯიკისა და მეგრული აჯიკის მომზადების ტექნოლოგიას[4], რაც აშკარა დადასტურებაა ამ პროდუქტის ძირძველი წარმოშობის და მაღალი რეპუტაციის.

დღეს საქართველოს ბაზარზე შეხვდებით როგორც ოჯახური, ისე სამრეწველო წესით დამზადებულ აჯიკის სხვადასხვა ნაირსახეობას. აჯიკა ეროვნული კერძების და, მთლიანად ქართული სუფრის, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ატრიბუტს წარმოადგენს, რომელსაც, სხვა საკმაზ-სანელებლებთან ერთად, საპატიო ადგილი უკავია ადგილობრივი რესტორნების მენიუშიც.

**6. წარმოშობის დადასტურება**

აჯიკის საქართველოში წარმოების პროცესის კონტროლი უზრუნველყოფილია მის ნებისმიერ ეტაპზე პროდუქციის ყოველი ცალკეული პარტიის ეტიკეტირების და ცალკეული პროდუქტის შეფუთვაზე მიკვლევადობის ნიშნების გამოყენებითა და, ასევე, დამამზადებელთა მიერ შესყიდვების, წარმოებული პროდუქციის და გაყიდვების შესახებ ჩანაწერებით.

**7. ეტიკეტირება**

პროდუქტის ეტიკეტზე დასახელების აღნიშვნისას გამოიყენება:

ქართული დამწერლობით – **დაცული გეოგრაფიული აღნიშვნა „აჯიკა“**
აფხაზური დამწერლობით – Ихьчоу Агеографиатә Дырга „Аџьыка“

ლათინური დამწერლობით –**Protected Geographical Indication** და/ან **PGI „Ajika“** კირილიცით – **Охраняемое Географическое Указание „Аджика“**

მიზანშეწონილია, ასევე, ეტიკეტზე ძირითადისაგან განსხვავებული, გემოვნებით დამატებული ინგრედიენტების მითითებაც, რომლებიც დატანილ უნდა იქნეს გეოგრაფიული აღნიშვნისათვის გამოყენებულ ასოებთან შედარებით მცირე ზომის ასოებით.

**8. მაკონტროლებელი ორგანო**

სპეციფიკაციასთან შესაბამისობის კონტროლს ახორციელებს სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო.

## ტყემალი
### სპეციფიკაცია

**განაცხადის** №3511/7
**განაცხადის შეტანის თარიღი:** 03/09/2021
**გეოგრაფიული აღნიშვნა:** ტყემალი
**საქონლის დასახელება, რომლისთვისაც მოითხოვება გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია:** ტყემალი (საწებელი)
**განმცხადებლის სახელი და მისამართი:** საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; მარშალ გელოვანის გამზ. №6, 0159 თბილისი, საქართველო

**1. დასახელება:** ტყემალი

**2. პროდუქტის აღწერა**

ტყემალი არის სქელი კონსისტენციის მქონე ქართული საწებელი, რომელიც მზადდება ტრადიციული რეცეპტების საფუძველზე და მისი ნაირსახეობები ფართოდაა გავრცელებული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

ამ საწებლის ძირითად ნედლეულს წარმოადგენს ტყემლის (ლათ Prunus cerasifera) მრავალწლოვანი ხეხილოვანი მცენარის ნაყოფი. ფერის მიხედვით არსებობს ყვითელი, წითელი და იისფერი ტყემალი. ამჟამად გვხვდება როგორც ველური, ისე კულტურული ჯიშები. საქართველოში დარაიონებული ჯიშებია: გულდედავა, გაზაფხულის მერცხალი, წითელი დროშა, ქუთაისი, რიონი, ხვავიანი და სხვა. ტყემლის საწებლის მოსამ-

---

1 ვიკიპედია – https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90

2 https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98

3 https://imedinews.ge/ge/kultura/86432/ajikas-aramaterialuri-kulturuli-memkvidreobis-dzeglis-statusi-mienicha

4 არამატერიალური ძეგლების რეესტრი; აფხაზური მარილის „აპირპილჯიკა“ და მეგრული აჯიკის მომზადების ტექნოლოგია; რეგ. ų44. https://www.heritagesites.ge/uploads/files/60b68d3b8fbb4.pdf

ზადებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს მცენარის როგორც ველური, ისე კულტურული ჯიშები.

ტყემლის გარდა, მზა პროდუქტის ძირითადი ინგრედიენტებია: ნიორი, ომბალო, ქინძი, ცერეცო, კამა (ან მწვანილებისაგან დამზადებული სუნელები), წიწაკა, მარილი და შაქარი (გემოვნებით). ტყემლის რეცეპტურაში მნიშვნელოვანია ომბალო (ლათ. Mentha pulegium), რომელიც სძენს ტყემლის საწებელს განმასხვავებელ და გამორჩეულ არომატს, რითიც ასე ცნობილია ეს საწებელი.

ტყემლის საწებლის დასამზადებლად გამოყენებული ტყემლის ფერის მიხედვით, საწებელს შეიძლება ჰქონდეს როგორც მწვანე, ისე მუქი მოწითალო, მოყავისფრო და ყვითელი შეფერილობა.

ტყემლის ნაცვლად საწებლის ნედლეულად, აგრეთვე, გამოიყენება ალუჩა (ლათ. Prunus Vachuschtii) და ღოღნოშო (ლათ. Prunus insititia). გემოვნების მიხედვით, ინგრედიენტების სახით დასაშვებია, აგრეთვე, სხვა ხილის ან მათი ნარევების გამოყენებაც ისე, რომ დამატებული ხილის რაოდენობა არ აღემატებოდეს საერთო რაოდენობის 15%-ს.

ტყემალი ხასიათდება არომატების მრავალფეროვნებით და გააჩნია დაბალანსებული სიცხარისა და სიმჟავის მადის აღმძვრელი სასიამოვნო გემო, რასაც ტყემალთან ერთად განაპირობებს მასში გამოყენებული საქართველოში მოყვანილი მწვანილები და მათგან დამზადებული სუნელები, რომლებიც გამოირჩევა გემური მახასიათებლებით და სურნელებით.

ტყემალი მდიდარია ორგანული მჟავებით, ჰიდროკარბონატებით, მიკრო-ელემენტებით, პექტინებითა და C, B1, B2, PP და E ვიტამინებით.

### 3. მომზადების მეთოდი

საწებლის დასამზადებლად გამოყენებული ნედლეული უნდა იყოს საღი და დაუზიანებელი. ნაყოფის კრეფა უნდა მოხდეს ხელით, თუმცა, დასაშვებია მექანიზებული საშუალებების გამოყენებაც. იკრიფება როგორც მწიფე, ისე დაუმწიფებელი ტყემალი.

გამოყენებული ინგრედიენტების, მათი, თანაფარდობისა და მომზადების მეთოდების მიხედვით, ძირითადად, ორი სახის ტყემალი არსებობს: ახალი ტყემალი, რომელიც მზადდება, როგორც წესი, გაზაფხულ-ზაფხულის პირზე, ჯერ კიდევ მწვანე, დაუმწიფებელი ტყემლისა და/ან ალუჩისაგან და ზამთარში შესანახი ტყემალი, რომელიც მზადდება მწიფე ტყემლისაგან.

**3.1. ახალი ტყემლის მომზადების წესი:**

- გადარჩეული და გარეცხილი დაუმწიფებელი ტყემალი და/ან ალუჩა ნელ ცეცხლზე იხარშება წყალში მის სრულ დარბილებამდე. ალუჩის შემთხვევაში საჭიროა შედარებით ნაკლები რაოდენობის წყალი, რადგან მაღალ ტემპერატურაზე ის თავად უხვად გამოყოფს საკუთარ წვენს;
- ნახარშის გაცივების და გადაწურვის შემდგომ, ნაყოფის დარბილებული მასა გულმოდგინედ იხეხება კურკების და კანის სრულად გამოცალკევებამდე;
- საჭიროების შემთხვევაში, საწებლის კონსისტენციის მისაღებად, მიღებულ მასას ესხმება ტყემლის ნახარშის წვენი;
- ტყემლისათვის გათვალისწინებული სანელებლები თავდაპირველად წვრილად ქუცმაცდება, ხოლო შემდეგ გულმოდგინედ ინაყება ან ტარდება ხორცსაკეპ მანქანაში.

გასათვალისწინებელია, რომ მწვანილსა და ნიორს ლითონთან შეხებისას უქვეითდება გემური თვისებები, არომატი და ეკარგება ხასხასა ფერიც. ამიტომ, განსაკუთრებით მაღალი ხარისხის ტყემლის მისაღებად უპირატესობას ქვასანაყში დანაყილ სანელებლებს ანიჭებენ.

**3.2. ზამთარში შესანახი ტყემლის მომზადების წესი:**

- გადარჩეული და გარეცხილი მწიფე ტყემალი (ან ღოღნოშო) იხარშება ახალი ტყემლის მსგავსად იმ განსხვავებით, რომ სანელებლებით შეზავების შემდეგ, გარკვეული დროის განმავლობაში განმეორებით საჭიროებს ხარშვას დაბალ ცეცხლზე;
- ახალი ტყემლისაგან განსხვავებით, ზამთარში შესანახი ტყემლის შესაკმაზად უპირატესად ხმელი მწვანილი გამოიყენება;
- ტყემლის საწებლისათვის საბოლოო სასაქონლო სახის მისაცემად, სტერილიზაციის პირობებში ხდება ტყემლის დაფასოება მინის ჭურჭელში, რომელიც იხუფება ჰერმეტულად.

გამოყენებული რეცეპტის მიხედვით, ტყემალი ხასიათდება სხვადასხვა დონის სიმჟავით, სიცხარითა და არომატით.

### 4. გეოგრაფიული არეალი

ტყემლის საწებლის დასამზადებლად გამოყენებული ტყემალი (ალუჩა, ღოღნოშო და სხვა, გემოვნებით დასამატებელი ხილი), ნიორი, წიწაკა, ნედლი მწვანილი და სუნელები წარმოებული უნდა იყოს მხოლოდ საქართველოში.

### 5. კავშირი გეოგრაფიულ არეალთან

ტყემლის კულტურა ფართოდაა გავრცელებული საქართველოში და კარგად ხარობს ზღვის დონიდან 1600-1800 მ-მდე. ის ნიადაგისადმი ნაკლებად მომთხოვნი, დაავადებებისადმი მედეგი, გვალვა და ყინვაგამძლე ხეხილია. ხეხილის ბაღების საერთო რაოდენობიდან მას 21-22%, ხოლო კურკოვანთა შორის 10% უკავია. ტყემლის ნარგავები უპირატესად განთავსებულია დასავლეთ საქართველოში, სადაც ბაღების საერთო ფართობის დაახლოებით 20% ტყემალს უკავია, თუმცა, ის დიდი პოპულარობით სარგებლობს აღმოსავლეთ საქართველოშიც.

ტყემალი მაღალმოსავლიანი კულტურაა. ზრდასრული ერთი ხე საშუალოდ იძლევა 60-80 კგ ნაყოფს, ცალკეულ შემთხვევაში კი ერთი ხიდან 300 კგ და მეტსაც კრეფენ.

ტყემალს ქართული სუფრის სავიზიტო ბარათს უწოდებენ. ის საქართველოში ნომერ პირველ საწებლად არის აღიარებული და მის გარეშე არ არსებობს ქართული სუფრა. ამ საწებელს არაერთხელ აღუფრთოვანებია საქართველოში ჩამოსული სტუმრებიც. აღსანიშნავია, რომ ტყემლის საწებლის ხარისხს მნიშვნელოვნად განაპირობებს ადგილობრივად მოყვანილი ტყემლის, აგრეთვე, შესაზავებელი მწვანილებისა და სუნელების განსაკუთრებული გემური თვისებები და გამორჩეული არომატი. ტყემლის ხარისხს, ასევე, ბევრად განაპირობებს შემზავებლის გამოცდილება და ოსტატობა.

დღეს ტყემალი საქართველოს ყველა რეგიონში მზადდება, მაგრამ მის სამშობლოდ დასავლეთ საქართველოა მიჩნეული. აქ ტყემლის მოდუღება განსაკუთრებული რიტუალია, რომლის შესრულების პატივიც წილად ხვდებათ გამოცდილ დიასახლისებს.

ტყემლის მომზადების წესი და რეცეპტურა ზეპირსიტყვიერად ან წერილობით გადაეცემოდა თაობიდან თაობას. ტყემლის მომზადების ყველაზე უფრო ადრინდელი რეცეპტი წერილობითი სახით გვხვდება ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ბარბარე ჯორჯაძის მიერ შედგენილ კულინარიულ წიგნში: „ქართული სამზარეულო და საოჯახო სამეურნეო ნაცადნი ცნობანი“, რომელიც გამოიცა 1874 წელს. ტყემლის საწებლის მომზადების პროცედურისა და მისი შემადგენელი ინგრედიენტების შესახებ ინფორმაცია მოცემულია, აგრეთვე, მომდევნო წლებში გამოცემულ სხვა ქართულ კულინარიულ ლიტერატურაშიც.

### 6. წარმოშობის დადასტურება

ტყემლის საქართველოში წარმოების პროცესის კონტროლი სავსებით უზრუნველყოფილია მის ნებისმიერ ეტაპზე პროდუქციის ყოველი ცალკეული პარტიის მარკირებისა და ცალკეულ პროდუქტზე მიკვლევადობის ნიშნების გამოყენებით და დამამზადებელთა მიერ შესყიდვების, წარმოებული პროდუქციის და გაყიდვების შესახებ ჩანაწერებით.

### 7. ეტიკეტირება

პროდუქტის ეტიკეტზე დასახელების აღნიშვნისას გამოიყენება:

ქართული დამწერლობით – **დაცული გეოგრაფიული აღნიშვნა „ტყემალი“**

ლათინური დამწერლობით – **Protected Geographical Indication** და/ან **PGI „Tkemali“**

კირილიცით – **Охраняемое Географическое Указание „Ткемали“**

ამასთან, თუ ტყემლის მომზადებისას ძირითად ნედლეულად გამოყენებულია ალუჩა ან ღოღნოშო, ეტიკეტზე მითითებული უნდა იყოს ძირითად ნედლეულად გამოყენებული ნაყოფის დასახელება, რომელიც დაიტანება გეოგრაფიული აღნიშვნისათვის გამოყენებულ ასოებთან შედარებით მცირე ზომის ასოებით.

### 8. მაკონტროლებელი ორგანო

სპეციფიკაციასთან შესაბამისობის კონტროლს ახორციელებს სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო.

**ლიტერატურა:**


- თ. სულაქველიძე, „ჯანმრთელი და ავადმყოფი ადამიანის საჭმელი“, საქართველოს სსრ სამედიცინო გამომცემლობა, თბილისი, 1954, გვ. 399-400;
- ნ. ხოფერია, „საოჯახო წიგნი“, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1965, გვ. 115;
- ი. მარკოზაშვილი, „ხილ-კენკრისა და ბოსტნეულის შენახვა-დაკონსერვება ოჯახურ პირობებში“, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1974, გვ. 138;
- შ. მუმლაძე, „ტყემლის სამრეწველო ჯიშებიდან სხვადასხვა კომპლექსწარმომქმნელი თვისებების მქონე პექტინების მიღების რაციონალური ტექნოლოგიის დამუშავება“, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2011, გვ. 31;
- ბ. ჯორჯაძე, „სრული სამზარეულო“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2017, გვ. 177.


## განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{16}$ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ბაზისბანკის“ (ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ უფლებამონაცვლე) განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნუგზარ სოლომონიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნუგზარ სოლომონიძე (პ/ნ 61009012614), ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქ. №163, სართული 4, ბინა №16

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქ. №163, სართული 4, ბინა №16 (საკადასტრო კოდი: 05.32.01.243.01.01.016).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 30049.9 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2022 წლის 10 ივნისი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2022 წლის 23 ივნისი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP79549322;

აუქციონის ნომერი: 71271

ლოტის ნომერი: 795493

6. **მოვალე:** ნუგზარ სოლომონიძე (პ/ნ 61009012614), ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქ. №163, სართული 4, ბინა №16.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP79549322; ლოტის ნომერი: 795493).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2022 წლის 23 ივნისის 10:00 საათამდე.


## ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას. ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**



ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას მისამართზე– თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.

მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

◉ დავამკვიდროთ!

**როგორც უკვე გაუწყეთ, 2021/2022 წლების სეზონის დიდი 10-ის ფინალი ნამდვილ ზეიმად იქცა. გარდა გამარჯვებული „ბათუმისა“, რაგბის კავშირმა ახმეტის ჭაბუკთა გუნდი „თუშები“ დააჯილდოვა მოულოდნელი სიურპრიზებით კი ტელეკომენტატორი თემურ ჯაფარიძე და საქართველოს საუკეთესო მსაჯი ნიკა ამაშუკელი გაახარა.**

დაჯილდოების პირველი ეტაპი შესვენებისას გაიმართა. „დინამო არენაზე“ ალვანელი მორაგბეები გავიდნენ, რომლებმაც მაისში ბელგიაში, ქალაქ ტურნაუტში 18-წლამდელთა 7-კაცას საერთაშორისო ტურნირი მოიგეს. „თუშებს“ საჩუქრები ვეტერანმა ბორჯღალოსნებმა“ — **გია ლაბაძემ** და **გიორგი ნემსაძემ** გადასცეს.

**„ეს იყო დაუვიწყარი დღე და ემოციები როგორც ბიჭებისთვის, ასევე ჩემთვის. ჯერ „დინამო არენას“ გვირაბში გამოსვლა იყო ეფექტური და მერე ის, რომ ისეთი ბუმბერაზი ადამიანები დაგვხვდნენ, როგორებიც გიორგი ნემსაძე და გია ლაბაძე არიან. მადლობა რაგბის კავშირს ამ პატივისთვის. ახმეტის რაგბის ისტორიაში ეს დღე უმნიშვნელოვანესი იყო“** — განაცხადა „თუშების“ მთავარმა მწვრთნელმა **სოსო მიქელაძემ.**

ამის შემდეგ მოედანზე ვეტერან მორაგბეს და ტელეკომენტატორ თემურ ჯაფარიძეს უხმეს, რომელსაც რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **იოსებ ტყემალაძემ** და ვეტერანმა მორაგბემ **ზურაბ ხარშილაძემ** ქართული რაგბის განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი წვლილისთვის „ბორჯღალოსნების“ სრული ეკიპირება გადასცეს.

78 წლის თემურ ჯაფარიძე თამაშობდა თბილისის „ლოკომოტივში“. ადრეულ ასაკში ტრავმის მიღების შემდეგ, მან სპორტის საყვარელი სახეობა ვერ მიატოვა და რაგბში სხვადასხვა ფორმით დარჩა. 1969-1974 წლებში იყო „ლოკომოტივის“ მენეჯერი, 1970 წლიდან რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი, 1971 წელს კი პირველად წაიყვანა რაგბის რეპორტაჟი და ამ საქმეს 45 წლის განმავლობაში ემსახურა.

**თემურ ჯაფარიძე არის საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი და სპორტულ ჟურნალისტიკაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის 2001 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით, მასვე გადაეცა კოტე მახარაძის სახელობის პრემია.**

**„ბატონი თემურის ღვაწლი ქართული რაგბის განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში განუზომლად დიდია. მან ცხოვრების უმეტესი ნაწილი, ნახევარ საუკუნეზე მეტი, მიუძღვნა სპორტის ამ სახეობას. „ლოკომოტივში“ თამაშისას ბატონმა თემურმა ადრეულ ასაკშივე მიიღო ტრავმა, თუმცა რაგბიში დარჩა და მოედანს მიღმა, სატელევიზიო თუ რადიო რეპორტაჟებით რაგბი გააცნო და შეაყვარა უამრავ ადამიანს.**



# ზეიმი ზეიმის შემდეგ

**თემურ ჯაფარიძე ყველას ახსოვს ტელევიზიიდან, თუმცა ბევრმა ალბათ არ იცის, რომ მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ მან მსაჯობას მიჰყო ხელი, 1970 წლიდან გახდა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი და სულ ცოტა ხნის წინაც იმსაჯა ქართველი და ნიდერლანდელი ვეტერანების მატჩი.**

**ბატონი თემური პირველ სარაგბო რეპორტაჟს 1971 წელს წარუძღვა და მას შემდეგ, ტელეკომენტატორის რანგში 45 წელი ემსახურებოდა რაგბის. მისი დამსახურებით ქართულ სატელევიზიო სივრცეში სულ უფრო ხშირად ჩნდებოდა რაგბის რეპორტაჟები და 2003 წელს, როდესაც საქართველომ რუსეთის დამარცხებით პირველად მოიპოვა მსოფლიო თასის საგზური, სწორედ თემურ ჯაფარიძე იჯდა კომენტატორის ჯიხურში, 2004 წლის შემდეგ კი, რაგბი ერთადერთი სპორტის სახეობა იყო, რომელიც თემურ ჯაფარიძეს მიჰყავდა.**

**შეუძლებელია, ადამიანს არ დაუფასო ასეთი ამაგი და რაგბისადმი ერთგულება! ჩემთვის, როგორც რაგბის კავშირის პრეზიდენტისთვის და უბრალოდ რიგითი გულშემატკივრისთვის, დიდი პატივია, ბატონ თემურს გადავცე ეს მოკრძალებული საჩუქარი. მე მას მთელი გულით ვუსურვებ ჯანმრთელობას. ერთად გვეხაროს ქართული რაგბის წარმატებებით და ერთად გვეზეიმოს ჩვენი გუნდის პირველი გამარჯვება ექვს ერში!“ — თქვა რაგბის კავშირის პრეზიდენტმა იოსებ ტყემალაძემ.**

## მატჩის შემდეგ

მადლობები და დაჯილდოებები ფინალური სასტვენის შემდეგაც გაგრძელდა. სანამ კუთვნილ მედლებს და თასს გუნდები მიიღებდნენ, იოსებ ტყემალაძემ და რაგბის კავშირის აღმასრულებელმა დირექტორმა **ბაჩო ხურციძემ** დიდი 10-ის, პირველი და რეგიონული ლიგების ფინალური შეხვედრების მომსახურე მსაჯებს მადლობის სიგელები და სიმბოლური საჩუქრები გადასცეს.

ამის შემდეგ დღის მთავარი სიურპრიზის დრო დადგა. იოსებ ტყემალაძემ საქართველოს საუკეთესო მსაჯი **ნიკა ამაშუკელი** გვერდზე გაიხმო, ნელ-ნელა მოედნის კიდისკენ წაიყვანა, იქ კი რაგბის კავშირის პრეზიდენტის მრჩეველმა **ნიკა ალავიძემ** აწ უკვე ექვსი ერის მსაჯისთვის განკუთვნილი საჩუქარი — BMW-ს ელექტრომობილი შემოიყვანა...

მოულოდნელობისგან გამოწვეული ემოციების გამო, ნიკამ საკუთარი განცდები მეორე დღეს გაგვიზიარა:

**„ეს ისეთი საჩუქარი იყო, რომ სიტყვებით გადმოცემა გამიჭირდა და ემოციაც შესაბამისი იყო. საკმაოდ მძიმე ფინალი გამოვიდა, ემოციურად დახარჯული ვიყავი და ასეთი სიურპრიზი რომ დამხვდა, საერთოდ დავკარგე მეტყველების და აზროვნების უნარი. ძალიან დიდი მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც ამაში იყო ჩართული — პირადად ბატონ იოსებ ტყემალაძეს, რომლისგანაც მოდიოდა ეს ინიციატივა და მას მხარი აუბეს ნიკოლოზ ალავიძემ, ბაჩო ხურციძემ, თორნიკე გოგებაშვილმა და მთლიანად რაგბის კავშირმა.**

**ეს არის არა მხოლოდ ჩემი, არამედ იმ ახალგაზრდა მსაჯთა თაობის მიმართ მიძღვნილი საჩუქარი, რომლებიც მძიმე სამუშაოს ეწევიან, მუდმივ წნეხში არიან და იღვწიან იმისთვის, რომ ქვეყნის შიდა ჩემპიონატი და საერთაშორისო მოვალეობები პროფესიონალურად გამართული იყოს. კიდევ ერთხელ მადლობა, ეს ჩემთვის არის უდიდესი მოტივაცია, რათა მაქსიმალურად დიდხანს დავრჩე უმაღლეს დონეზე და კიდევ უფრო მეტი წარმატება მოვუტანო ქართულ რაგბის საერთაშორისო ასპარეზზე.**

**რაც შეეხება ფინალს, ორგანიზება და მუხტი იყო შესანიშნავი, რისთვისაც ცალკე ეკუთვნის შექება რაგბის კავშირს. ფინალი ყოველთვის დაძაბულია. ქართულ რაგბის მუდმივად სჭირდება ასეთი გარემო, არა მხოლოდ ფინალურ მატჩზე, არამედ ყველა შეხვედრაში. მოთამაშეები სწორედ ასეთ წნეხში იწრთობიან, რაც შემდგომში იწვევს უფრო მაღალი დონის თამაშის ჩვენებას. ჩვენ დავინახეთ, რომ ემოციურობის და დაძაბულობის ფონზე, ფინალი არ იყო გახსნილი. შიდა ჩემპიონატის პროდუქტიულობის გასაზრდელად საჭიროა, რომ ასეთი წნეხი შეიქმნას ყველა თამაშზე. აი, იქ რომ დავიწყებთ ემოციების გაკონტროლებას, მაშინ მოხდება ქართული რაგბის ფუნდამენტური წინსვლა“.**

◉ ფაქტი

# გასაკვირი არაფერია

**ფეხბურთის სტატისტიკის საერთაშორისო ინსტიტუტმა ყველა დროის სიმბოლური საბჭოთა ნაკრები შეადგინა, რომლის ძირითად ვარიანტშიც ადგილი მხოლოდ 1 ქართველი დიდოსტატისთვის — მურთაზ ხურცილავასთვის გამოიძებნა.**

სამაგიეროდ, მეორე გუნდში ერთბაშად 4 რჩეული გვყავს — **ალექსანდრე ჩივაძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი** და **მიხეილ მესხი.**

ბუნებრივია, მსგავსი გამოკითხვები ყველასათვის მოსაწონი შედეგებით ვერ დასრულდება, მაგრამ



მაინც — ნუთუ მეტ დაფასებას არ იმსახურებდნენ ქართველი ლეგენდები, რომელთა დიდებასაც ამ ფაქტით არაფერი აკლდება?

**ცნობისთვის:** ამასწინანდელ გამოკითხვაში ევროპის პირველ ნაკრებში თვით იოჰან კრუიფი ვერ მოხვდა!

◉ ლეგიონერი

# ველით „ოქროს“

**საქართველოს ხელბურთელთა ნაკრების ახალგაზრდა ლიდერი გიორგი ცხოვრებაძე ახლოსაა პირველ შვეიცარიულ ტიტულთან.**

ეს მას შემდეგ გამოიკვეთა, რაც „ვინტერტურმა“ ნახევარფინალურ სერიაში „თუნი“ დაამარცხა — 3:2, ჩვენმა თანამემამულემ კი გადამწყვეტი საშინაო მატჩის საკვანძო ათწუთიან პერიოდში შესვენების შემდეგ პარტნიორებს 4-ბურთიან დაწინაურებაში შეუწყო ხელი, რაც იქაურ პრესაშიც აისახა: **„გიორგი ცხოვრებაძემ, რომელმაც უკვე დაამტკიცა თავისი უზარმაზარი ტალანტი, ფეხი აუწყო დაცვის კარგ თამაშს და ორი უძლიერესი დარტყმით უპირატესობა მოუპოვა გუნდს“.**

დავძენთ, რომ იმ საღამოს გიოს 7 ტყორცნიდან 6 გოლით დასრულდა, ხოლო სულ სერიაში მეტოქეს 14 ბურთი გაუტანა.




◉ ფარქვეშ

# ცხელი ზაფხული

**მოახლოვდა ევრობასკეტი და იზრდება იმ ვარსკვლავთა სია, ვინც აპირებს მომავალ ფორუმზე სამშობლოს სპორტული ღირსება დაიცვას.**

ნბა-ში ფეერიული სეზონის შემდეგ სლოვენიელთა მაისურით თამაშზე უკვე განაცხადა **ლუკა დონჩიჩმა: „ვიმეორებ, რომ თუ ტრავმა არ მექნება, ყოველთვის ვითამაშებ ნაკრებში. ორ კვირაში დავიწყებ ვარჯიშს, მონაწილეობას მივიღებ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრებში და შემდეგ ევრობასკეტისთვის მოვემზადები. მოკლედ, გადატვირთული ზაფხული გველოდება წინ“.**

აღსანიშნავია, რომ ხუთწლიანი განშორების შემდეგ სლოვენიელებს, სავარაუდოდ, გორან დრაგიჩი დაუბრუნდებათ.

არანაკლებ ფასეული მატებაა საფრანგეთის უძლიერესი გუნდის ბანაკში რუდი გობერის სახით, რომელმაც ქომაგები ასე დაამშვიდა: **„სეზონის შემდეგ სამედიცინო შემოწმება ჩავიტარე და დავრწმუნდი, რომ არანაირი პრობლე:მა არ მაწუხებს. ასე რომ, 200 პროცენტით ვითამაშებ ევრობასკეტზე. მნიშვნელოვანია ის ფაქტორიც, რომ სამფეროვნებში მხარს ევან ფურნიე დამიმშვენებს, რომელთან ერთადაც თამაში დიდი სიამოვნებაა“.**

დავძენთ, რომ სერბები **ნიკოლა იოკიჩს** მოელიან, ხოლო ბერძნები — **იანის ანტენტოკუნპოს.**

ნბა ვახსენეთ და ნურც ფინალურ სერიას დავივიწყებთ, რომელშიც „ბოსტონმა“ კარგად ისარგებლა საკუთარი მოედნის უპირატესობის მოპოვებით, მესამე მატჩი „გოლდენ სტეიტს“ 116:100 მოუგო და 2:1 დაწინაურდა.

აღსანიშნავია, რომ სტუმრები მხოლოდ 2-ჯერ დაწინაურდნენ, მათმა ვარსკვლავებმა კი შეხვედრა მარგი ქმედების უარყოფითი კოეფიციენტებით დაასრულეს.



**ყველაზე შედეგიანები:** ბრაუნი — 27, ტეიტუმი — 26, სმარტი — 24 ქულა („სელტიქსი“); კარი — 31, ტომპსონი — 25 ქულა („ვორიორზი“).

სერიის მე-6 ბრძოლას ხვალ ისევ ბოსტონი უმასპინძლებს.

ამასობაში წარუმატებლად ჩაება იტალიის ჩემპიონატის ფინალურ რაუნდში სერჯიო სკარიოლოს გაწვრთნილი „ვირტუსი“, რომელიც რეგულარული სეზონის გამარჯვებული და წლევანდელი ევროთასის მფლობელია. ბოლონიელები მთელი სასტარტო მატჩის განმავლობაში მდევრის როლში იყვნენ ევროლიგის მონაწილე „მილანთან“, რომელსაც ეტორე მესინა ავარჯიშებს და საბოლოოდ 62:66 დამარცხდნენ. ასე რომ, „ოლიმპია“ სერიაში 1:0 დაწინაურდა და მეტოქეს საკუთარი მოედნის უპირატესობა ჩამოართვა. წაგებულთა ქართველმა ლეგიონერმა **თორნიკე შენგელიამ** 29 წუთში 11 ქულას, 7 მოხსნასა და 2 ზუსტ პასს მოუყარა თავი და შედეგიანობით პარტნიორთაგან მხოლოდ მილოშ თეოდოშიჩს ჩამორჩა — 16 ქულა.

დაბოლოს, გაუწყებთ, რომ ხვალ საქართველოს დედაქალაქში 20 საათსა და 30 წუთზე საზეიმოდ გაიხსნება მომავალი ევრობასკეტის მასპინძელი ახალი, 10 ათას მაყურებელზე გათვლილი მულტიფუნქციური დარბაზი, სადაც ისტორიული 15 შეხვედრა 1-7 სექტემბერს გაიმართება. გილოცავთ!



# რუსეთმა აფხაზეთში სარკინიგზო ხაზის მასშტაბური რეაბილიტაცია დაიწყო

**რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში სარკინიგზო ხაზის მასშტაბური რეაბილიტაცია დაიწყო. ამის შესახებ „კომერსანტთან“ აუდიტორი აკაკი ჩარგეიშვილი აცხადებს. მისი თქმით, კონკრეტული მიზეზი, რას ემსახურება სარკინიგზო ხაზის აღდგენა, უცნობია, თუმცა არ არის გამორიცხული, სამხედრო ტვირთების მოძრაობით იყოს განპირობებული.**

ჩარგეიშვილი ოკუპანტი ქვეყნის განზრახვას საქართველოსთვის სერიოზულ საფრთხედ აღიქვამს და დასძენს, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით ქვეყნის მთავრობამ გარკვეული რეაგირება უნდა მოახდინოს და რისკები სათანადოდ შეაფასოს.

**„როგორც ჩანს, რუსეთი შეეცდება ტვირთების მოძრაობას ოკუპირებული აფხაზეთის პორტის გამოყენებით. ნამდვილად არის საყურადღებო ინფორმაცია. ჯერჯერობით არც ერთი განცხადება ამასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობას არ გაუკეთებია. აფხაზური მხარის განცხადებით, თავიდან ბოლომდე რემონტდება აფხაზეთის რკინიგზა ოჩამჩირის რკინიგზის სადგურამდე. ამიტომ უნდა ვიცოდეთ რა დაშვებით კეთდება, რა გვაქვს ამის საპრევენციოდ, რომელი სამსახურები არიან ჩართული, რომელ ინვესტორს აინტერესებს, რომ აფხაზეთის სარკინიგზო ხაზი სრულად იყოს განახლებული. ჩვენ სად ვართ და რას ვაკეთებთ ამ დროს. გამოდის, რომ გადაწყვეტილი აქვთ სარკინიგზო ხაზის აღდგენა გალამდე. ამ დროს ვიცით, რომ სამხედრო ნაწილია ამ აკვატორიაში, ლოგიკურად მიჭირს დავუკავშირო პოლიტიკურ პროცესებს , მაგრამ საფრთხე არის, რას ნიშნავს რკინიგზის გალამდე მოახლოება ანუ ადმინისტრაციულ საზღვრამდე სათანადოდ უნდა შეფასდეს და რეაგირება მოახდინონ“,** — განაცხადა აკაკი ჩარგეიშვილმა.

მისი თქმით, აფხაზეთის რკინიგზა რუსეთისთვის გახდება ლოჯისტიკის შემავსებელი და გამაიაფებელი, ვინაიდან სოხუმი საპორტო ქალაქი არ არის, ამიტომ სარკინიგზო ხაზის გაფართოება ხდება. გარდა ამისა, ჩარგეიშვილი არ გამორიცხავს, რუსეთი ითვალისწინებდეს შავი ზღვის არეალში წყალქვეშა ნაღმებთან დაკავშირებით საფრთხეს და ალტერნატივას ეძებდეს.

აფხაზეთის სარკინიგზო ხაზის მშენებლობის შესახებ საქართველოსთვის საფრთხეს ნაკლებად ხედავთ აფხაზეთის ექსპერტთა კლუბის წარმომადგენელი ირაკლი ცქიტიშვილი. მისი ვარაუდით, რკინიგზის აღდგენა შესაძლოა უკრაინის ფაქტორს უკავშირდებოდეს და ამავე დროს წმინდა ეკონომიკური მიზეზიც არსებობდეს, რაზეც რუსული მხარე არ საუბრობს.

**„სამხედრო თვალსაზრისით, რუსები მონდომებული არიან, უფრო ადვილად გაიყვანონ თავიანთი ჯარები გუდაუთიდან უკრაინის მიმართულებით. ამასთან რკინიგზა აფხაზეთში ტურისტული სეზონის წარმატებისთვისაც უაღრესად მნიშვნელოვანია.**

**სტრატეგიული ობიექტია და რუსეთი ყოველთვის ცდილობდა მის გამოყენებას, უბრალოდ, ახლა მეტი მოტივი აქვს ამისთვის, როცა უკრაინაში საომარ მოქმედებებს ატარებს. ჩვენთან მიმართებაში რისკს ნაკლებად ვხედავ, რა ვითარებაც დღეს საქართველოში ტვირთების გადაზიდვებთან დაკავშირებით არსებობს, ამით არ უნდა შეიცვალოს“,** — აცხადებს ირაკლი ცქიტიშვილი „კომერსანტთან“.

## საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

### მოქალაქე ქემალი ალთუნის (პ/ნ 59860351838) და მოქალაქე ქემალ ალთუნის წარმომადგენლის, ჩუმბერ ქართველიშვილის შეტყობინების თაობაზე ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ექსპროპრიაციის თაობაზე გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით (საქმე №3/188-19), საერთაშორისო მნიშვნელობის E-70 ჩქაროსნული საავტომობილო გზის გრიგოლეთი - ქობულეთის შემოსავლელი საავტომობილო გზის (კმ0+000 - კმ14+400) მშენებლობის პროექტის განხორციელებისთვის, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს (შემდგომში - დეპარტამენტი) აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება ქემალი ალთუნის (პ/ნ 59860351838) (შემდგომში - მესაკუთრე) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ გრიგოლეთში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ №27.15.57.005) მთლიანი ფართის 4954 კვ.მ-ის ნაწილზე 2371 კვ.მ-ზე (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება), რაზეც 2022 წლის 15 მარტს გაცემულია სააღსრულებო ფურცელი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, დეპარტამენტის მიერ საექსპროპრიაციო ქონების სანაცვლოდ შემთავაზებული, საკომპენსაციო თანხის ჩარიცხვის მიზნით, დეპარტამენტი მესაკუთრეს თხოვს, წერილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში, საბანკო ანგარიშის რეკვიზიტების წარდგენას, რომელზეც დეპარტამენტი განახორციელებს საკომპენსაციო თანხის ჩარიცხვას.

დეპარტამენტი მესაკუთრეს თხოვს მითითებული დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში იმის გათვალისწინებას, რომ დეპარტამენტი იმოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის და საქართველოს კანონმდებლობის დანაწესების თანახმად. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 434-ე მუხლის შესაბამისად, საკომპენსაციო თანხა განთავსდება ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე. ამასთან, დეპარტამენტი მესაკუთრეს თხოვს გაითვალისწინოს, რომ ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის განთავსება დაკავშირებულია სანოტარო ხარჯებთან და გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ თანხის გამოტანის შემთხვევაში, თანხის გამომტანი მიიღებს თავდაპირველად შეტანილ თანხაზე ნაკლებ თანხას (დაიქვითება სანოტარო ხარჯები).

დეპარტამენტი მიუთითებს, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მესაკუთრეს უფლება აქვს, საექსპროპრიაციო ქონების სანაცვლოდ შეთავაზებული ღირებულების ოდენობაზე, იდაოს სასამართლო წესით, მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელების შეფერხების გარეშე.

---

**ოტია, ლამარა, მამუკა, მიმი სარჩიმელიები ღრმა გულისტკივილით იუწყებიან ბიძაშვილის**

## ვალერი გულის ძე სარჩიმელიას

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.**

**დაკრძალვა 11 ივნისს 2 საათზე, ზუგდიდის რაიონი სოფელი ოქტომბერში.**

---

## ანზორ თედორაძე



**პურპროდუქტების დარგს, თბილისის №4 პურის ქარხნის კოლექტივს გამოაკლდა ღვაწლმოსილი პიროვნება, შრომის ვეტერანი, ყველასთვის საყვარელი და დაფასებული ადამიანი ანზორ თედორაძე.**

**მან საყვარელ საქმეს 50 წელზე მეტი დაუღალავი შრომით ემსახურა. ბატონ ანზორს მოღვაწეობა მოუხდა მეტად რთულ პერიოდში — ენერგოკრიზისი, ძმათამკვლელი ომი, ეკონომიკური სიდუხჭირე, მეწარმეთათვის მეტად რთული და არახელსაყრელი პირობები, მაგრამ მან დიდი მონდომებით, საქმისადმი ერთგულებით, კოლექტივისადმი გვერდში დგომით გაუძლო მეტად რთულ გამოწვევებს.**

**იგი მუდამ გამოირჩეოდა პრინციპულობით, მაგრამ თანამშრომელთა მიმართ თავმდაბლობით, სიყვარულითა და ერთგულებით. სწორედ ამნაირი შემართებული ადამიანების დამსახურება იყო და არის ის, რომ გაჭირვების პერიოდი მოქალაქეებმა შედარებით იოლად გადაიტანეს, სწორედ ამგვარ ხალხზე და მათ ღვაწლზე უნდა იცოდეს მომავალმა თაობამ. ჩვენ, მისი მეგობრები და თანამშრომლები დიდი გულისტკივილით ვემშვიდობებით ანზორ თედორაძეს, ვუსამძიმრებთ მის ოჯახს და ახლობლებს. მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა.**

სს თბილისის №4 პურის ქარხნის კოლექტივი,
საქ. პურის მრეწველთა კავშირი

---



## უკრაინაში კიდევ ერთი ქართველი მებრძოლი დაიღუპა

**უკრაინაში კიდევ ერთი ქართველი მებრძოლი დანიელ გერლიანი დაიღუპა,** — ამის შესახებ რამდენიმე საათის წინ დანიელის დედამ ალა გერლიანმა სოციალურ ქსელში დაწერა.

ალა გერლიანის თქმით, მისი 23 წლის ვაჟი 3 ივნისს დაიღუპა. **„ჩემი შვილის, ჩემი დამცველის, სიცოცხლე შეწყდა, ოფიცრის, არაჩვეულებრივი, ნათელი, პატიოსანი ბიჭის, ჩემი დანიელის სიცოცხლე. ის სამშობლოსთვის ბრძოლაში დაეცა, მშობლიური მიწისთვის ბრძოლას შეეწირა, დაიღუპა, რათა ჩვენ გვეცოცხლა“,** — წერს ალა გერლიანი.

---

## ჩამორთმეულია ნახევარი მილიონი ლარის ღირებულების, არადეკლარირებული სიგარეტი

ფინანსთა სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ, ერთობლივად ჩატარებული ღონისძიების ფარგლებში, კონტეინერების კონტროლის დანაყოფის მიერ — საბაჟო გამშვებ პუნქტზე „ნინოწმინდა“ დიდი ოდენობა არადეკლარირებული სიგარეტის კანონდარღვევით შემოტანის მცდელობის ფაქტი აღიკვეთა.

**„სამართალდამცველების მიერ ინფორმაციის ანალიტიკურად დამუშავების შედეგად შეჩერდა საერთაშორისო გადაზიდვების განმახორციელებელი, უცხო ქვეყნის სანომრე ნიშნის მქონე 3 სატვირთო ავტომობილი. ავტომობილების დეტალური დათვალიერების შედეგად, მისაბმელი კონსტრუქციის იატაკში მოწყობილ სამალავში, დაახლოებით ნახევარი მილიონი ლარის ღირებულების არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს.** — აღნიშნულია შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

# კიდევ 141 000 ლარის სამოსი!

## კულტურის სამინისტრომ ფოლკლორული ანსამბლებისთვის სასცენო სამოსის შეძენის მიზნით მეორე ტენდერი გამოაცხადა

**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მოქმედი ქართული ფოლკლორული ანსამბლების სასცენო სამოსით აღჭურვის მიზნით მეორე ტენდერი გამოაცხადა. სატენდერო თანხა ამჯერად შეადგენს 141 000 ლარს.**

სამინისტროს გადაწყვეტილებით და სსიპ ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის რეკომენდაციით, ტენდერით გათვალისწინებულია სასცენო სამოსის შეძენა შემდეგი ფოლკლორული ანსამბლებისათვის:

**ა(ა)იპ აფხაზეთი სიმღერის სახელმწიფო ანსამბლი „შავნაბადა"; ა(ა)იპ ანსამბლი „ადილეი"; ა(ა)იპ ედიშერ და გია გარაყანიძეების სახელობის ეთნომუსიკის თეატრი (ფოლკლორული ანსამყლი) „მთიები"; შპს ანსამბლი „მარგალიტი"; ა(ა)იპ ანსამბლი სათანაო; ა(ა)იპ მრავალჟამიერი1-თან არსებული ანსამბლი „გურჯაანი";**



**თურქეთის რესპუბლიკის ქ. ინეგოლის კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის ასოციაციის ბაზაზე მოქმედი ქორეოგრაფიული ანსამბლი; შპს „იალონი".**

უწყების ცნობით, ამ ანსამბლებისთვის შეიკერება: ჩოხა-ახალუხი — 54 ცალი; კაბა — 21 ცალი; კაბა-ახალუხი — 6 ცალი; კაბის კომპლექტი — 35 ცალი; კაბა-მოსაცმელი — 3 ცალი; ჩოხა — 15 ცალი; ჩოხის კომპლექტი — 2 ცალი; ტალავარი — 2 ცალი.

**„აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილთაგან არც ერთი ანსამბლი არ წარმოადგენს სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს.**

**როგორც ცნობილია, სახელმწიფო და კერძო ფოლკლორული ანსამბლების წინაშე არაერთი გამოწვევაა. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემა მაღალი ხარისხის, სპეციალური ესკიზების მიხედვით შექმნილი ტრადიციული სასცენო სამოსის ნაკლებობაა. სახელმწიფოს მხრიდან ანსამბლების სამოსით უზრუნველყოფა დაახლოებით 15 წელია, არ მომხდარა, რის გამოც, სამინისტროს გადაწყვეტილებით, 2021 წლის დეკემბერში გამოყოფილ იქნა 197 999 ლარი და გამოცხადდა პირველი ტენდერი. ტენდერში გამარჯვებული კომპანია „ფაფანაკის" მიერ სამინისტროს ამჟამად ეტაპობრივად ბარდება სასცენო სამოსი 12 სხვადასხვა ანსამბლისთვის. პროექტის ფარგლებში ჯამში გათვალისწინებული იყო 70 კაბისა და 277 ჩოხის კომპლექტის დამზადება. ამ ეტაპისთვის სასცენო სამოსი გადაეცათ ანსამბლებს: „სახიობა", მგალობელ-მომღერალთა გუნდი „დიდგორი", ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ჯგუფი „ძირიანი". სასცენო სამოსის გადაცემა პირველი ტენდერის ფარგლებში სხვა ანსამბლებისთვის ეტაპობრივად განხორციელდება და წლის ბოლომდე დასრულდება",** — აცხადებენ სამინისტროში.

# საერთაშორისო საფორტეპიანო ფესტივალი



**თბილისში 9-19 ივნისს, უკვე მესამედ საერთაშორისო საფორტეპიანო ფესტივალი — TBILISI PIANO FEST ჩატარდება, რომელიც 2019 წელს, თბილისის მერიის მხარდაჭერით დაფუძნდა და ყოველწლიურად, მსოფლიოს წამყვან მუსიკოსებსა და პედაგოგებს აერთიანებს, — ამის შესახებ აღნიშნულია მერიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. ახალგაზრდა ნიჭიერ პიანისტებს ფესტივალზე საშუალება ეძლევათ, ინტერაქტიურ ფორმატშიც იყვნენ მასტერკლასების მონაწილეები და უშუალო, საფესტივალო გარემოში მიიღონ დიდი გამოცდილება.**

ფესტივალის დამფუძნებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი ცნობილი ქართველი პიანისტი **დუდანა მაზმანიშვილია,** ხოლო წლევანდელ სტუმართა შორის არიან ცნობილი პიანისტები ნიუ იორკიდან, პარიზიდან, ციურიხიდან, მადრიდიდან, ვენიდან, ბერლინიდან და, რა თქმა უნდა, ქართველი პიანისტები: **ედიშერ სავიცკი, სანდრო გეგეჭკორი** და **ირმა გიგანი.** ფესტივალში ასევე, მონაწილეობას იღებს ცნობილი, უკრაინული წარმოშობის პიანისტი **კონსტანტინ ლიფშიცი.** ფესტივალი კონსერვატორიის დიდ დარბაზსა და ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზებში ტარდება, მასტერკლასები ეროვნულ სასახლეში, ხოლო ფესტივალის დასკვნითი კონცერტები **ეროვნული სიმფონიური ორკესტრის, დუდანა მაზმანიშვილის, ნიკოლოზ რაჭველის,** სახელგანთქმული პიანისტის **ციპრიენ კაცარისისა** და ცნობილი გერმანელი დირიჟორის **მორიც გნანის** მონაწილეობით, ორბელიანის მოედანზე ღია ცის ქვეშ გაიმართება.

# მიგრანტების ნავზე დაბადებულ ბავშვს მოქალაქეობა მიანიჭეს



**ესპანეთის სასამართლომ მოქალაქეობა მიანიჭა მიგრანტ ბავშვს, რომელიც მაშინ დაიბადა, როცა დედა ევროპაში ჩასვლას ცდილობდა. ახალგაზრდა ორსულმა, კამერუნელმა გოგომ, 2018 წლის მაისში, მიგრანტების ნავზე, იქამდე იმშობიარა, ვიდრე ესპანეთის ქალაქ ტარიფამდე მიაღწევდნენ. უკვე ოთხი წელია, ის, შვილთან ერთად, ესპანეთში ცხოვრობს.**

მიუხედავად იმისა, რომ დედამ მიგრანტის სტატუსის მიღება შეძლო, მისი შვილი, პასპორტის გარეშე ცხოვრობდა და მისთვის ხელმისაწვდომი არ იყო არც ადგილობრივი ჯანდაცვისა და არც განათლების სექტორებით გათვალისწინებული მომსახურება. სასამართლო განმარტავს, რომ გადაწყვეტილება ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მიიღო. ეს მეორე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაა — პირველმა ინსტანციამაც მიანიჭა ბავშვს მოქალაქეობა, თუმცა სახელმწიფომ ეს გაასაჩივრა. წინ კიდევ ერთი ინსტანციაა, რომელსაც უფლება აქვს, წინა ინსტანციების გადაწყვეტილებები მხედველობაში არ მიიღოს და ბავშვი კვლავ მოქალაქეობის გარეშე დარჩეს.

# ზელენსკი ვაჭრობას აგრძელებს

უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ მოუწოდა უცხოურ კომპანიებს, შეწყვიტონ რუსეთში მუშაობა და, თავიანთი გადასახადებით, უკრაინის წინააღმდეგ ომი არ დააფინანსონ.

**„კომპანიები რუსეთის ფედერაციის ბაზრიდან უნდა გავიდნენ. თუ შესაძლებელია, სამუდამოდ უნდა წავიდნენ ამ ქვეყნიდან. ჩვენთვის მთავარი ის კი არ არის, რომ რუსეთის ბაზარი დატოვონ, არამედ ის, რომ მათი გადასახადები არ იყოს გამოყენებული იმ იარაღის დასაფინანსებლად, რომლითაც რუსები გვკლავენ",** — აღნიშნა ზელენსკიმ. ამასთან, მან აღნიშნა, რომ ისურვებდა, კომპანიებს რუსული ბაზარი არა მარტო დაეტოვებინათ, არამედ უკრაინის ბაზარზე შესულიყვნენ. მისივე თქმით, უკრაინისთვის ახლა ძალიან მნიშვნელოვანია ახალი სამუშაო ადგილების შექმნის საკითხი, რაც ამ კომპანიებს შეუძლიათ.



# ამერიკელებს მოსკოვში, ცხვირწინ სეპარატისტების მოედანს უხსნიან

**მოსკოვის მერიის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, პლატფორმაზე „აქტიური მოქალაქე" დასრულდა კენჭისყრა აშშ-ის საელჩოსთან მდებარე მოედნისთვის სახელის მინიჭების შესახებ.**



როგორც იუწყებიან, ხმათა უმრავლესობა — 44,9% მოაგროვა ვერსიამ „დონეცკის სახალხო რესპუბლიკა", მეორე ადგილი დაიკავა „დონბასის დამცველთა მოედანმა" (31,54%). 8,33%-მა მხარი დაუჭირა „რუსეთის გმირის ვლადიმირ ჟოგის" ვერსიას. კიდევ 15,44%-მა გადაწყვეტილების მიღება სპეციალისტებს მიანდო.

ხმის მიცემაში 278 ათასზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა. ინიციატივა ეკუთვნის მოსკოვის დუმის დეპუტატებს. მათი წინადადება იყო, აშშ-ის საელჩოსთან მდებარე ტერიტორიისთვის „დონბასის დამცველთა მოედანი" ეწოდებინათ. 2018 წელს შეერთებული შტატების დედაქალაქ ვაშინგტონში, ქუჩას, სადაც რუსეთის საელჩო მდებარეობს, ბორის ნემცოვის სახელი უწოდეს.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში"
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.
ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.


**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 13 ივნისს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.9634; ევრო - 3.1785
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7152;
100 რუბლი - 4.8919; თურქული ლირა - 0.1729;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7491;
1000 სომხური დრამი - 6.9269.

**ამინდი 10 ივნისისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +13, | დღე +30 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +9, | დღე +26 |
| დასავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +15, | დღე +30 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +11, | დღე +28 |
| თბილისი: | ღამე | +17, | დღე +29 |


დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge